ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 25 ოქტომბერი, 2021 | №200 (8729) | ფასი: 60 თეთრი

## ღარიბაშვილი: „სავალდებულო ვაქცინაციას არ დავუშვებ“

გვ.3



# „სააკაშვილის ლიკვიდაცია სისულელეა...“



გვ.2

დავით ზურაბიშვილი: „არჩევნების შემდეგ მას უკრაინას გადასცემენ ან ციხიდან გამოვა გმირი – ნელსონ მანდელა“

„სააკაშვილს რამე რომ დაემართოს, ეს იქნება ივანიშვილისთვის პირდაპირი განაჩენი. ის ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს არ მოხდეს“



## ნიკა გვარამია: „ციხეში მოაწყობენ ბუნტს და სააკაშვილს მოკლავენ“

გვ.4



## „ოპოზიცია რეალურად ბიძინა ივანიშვილს ებრძვის“

გვ.2



ანზორ ბიწაძე: „ჩვენ ერთ-ერთი პირველი პარტია ვიყავით, რომელიც ამბობდა, რომ თუ ერთობა არ იქნება, ოპოზიცია ვერ დაამარცხებს ადამიანს, რომელიც საქართველოს ეკონომიკაზე მდიდარია“

გვ.3



## „მელიას მიერ წარმოდგენილი ჩრდილოვანი კაბინეტი კოალიციური არ არის“

გიგა ბუკია: „ქართულმა ოცნებამ“ პირველ ტურში სილა მიიღო“

გვ.3



## ლაშა ჩხარტიშვილი: „ჩემთვის ნაციონალებიდან და „ოცნებიდან“ მისაღები არც ერთი არ არის“



## მამუკა ტუსკაძე: „მელიასთვის მიცემული ხმები რეალურად მიხეილ სააკაშვილის ხმებია“

გვ.4

## „ხელისუფლება სამეგრელოში სადამსჯელო ოპერაციის ჩატარებას აპირებდა“

დავით ქაცარავა: „ჩვენი ვალი იყო, იქ ვყოფილიყავით“

გვ.2



ISSN 1987-9385

**5** ნიკო კვარაცხელიას მკვლელობის შემდეგ გიორგი კაპილაძემ ბუსა ქვანიას დაურეკა

მკვლელობის ახალი დეტალები

**6** ერდოღანმა 10 ქვეყნის ელჩების თურქეთიდან გაძევება გადაწყვიტა

**5** „ფეხებში მე და ზურა ვწვდით, ოხანაშვილი და ქარელა – ხელებში. მტკვარში შევაცურეთ“

როგორ მოკლეს თომას კენედი გორში

**5** მამინაცვალს, რომელიც გერს 3 წელი აუპატიურებდა, 18 წელი მიესაჯა

# „სააკაშვილის ლიკვიდაცია სისულელეა...“

## დავით ზურაბიშვილი: „არჩევნების შემდეგ მას უკრაინას გადასცემენ ან ციხიდან გამოვა გმირი – ნელსონ მანდელა“

იაგო ნაცვლიშვილი

**პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ თუ მერების არჩევნებში ოპოზიციური კანდიდატები გაიმარჯვებენ, ვერაფერს ვერ იზამენ, რადგან ცენტრალურ ხელისუფლებაში თავად არიან და ცენტრის დახმარების გარეშე პროექტებს ვერ განახორციელებენ, რაც ისევ ადგილობრივ ხელისუფლებას დაარტყამს. არის თუ არა პრემიერის განცხადება იმის აღიარება, რომ მერის არჩევნები ბუტაფორიაა? ევროპარლამენტარების მიმართ „ოცნების“ კრიტიკა უნდა გავიგოთ თუ არა იმად, რომ დასავლეთის აზრი აღარ აინტერესებთ და რამდენად რეალური ჰგონია ნიკა გვარამიას განცხადება, რომ სააკაშვილის ლიკვიდაცია იგეგმება? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი დავით ზურაბიშვილი საუბრობს.**



**„სააკაშვილს რამე რომ დაემართოს, ეს იქნება ივანიშვილისთვის პირდაპირი განაჩენი. ის ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს არ მოხდეს“**

***– როგორ შეაფასებთ პრემიერის ბოლოდროინდელ განცხადებებს, მაგრამ განსაკუთრებით მაინტერესებს მისი განცხადება თვითმმართველობასთან დაკავშირებით, როდესაც ფაქტობრივად აღიარა, რომ რეალურად მერების არჩევნები არაფერს არ წყვეტს და ყველაფერი მათ ხელშია?***

– მაგას ალბათ ასე ჰგონია, მაგრამ ასე არ არის. უბრალოდ, არ იციან, რა არის თვითმმართველობა. ამ ფილოსოფიის კატეგორია ამას ასე უყურებს. რეალურად რა არის, რა მექანიზმია და სახელმწიფოსთვის რა მნიშვნელობა აქვს, მიახლოებითაც არ არის გარტყმაში. რომ იყოს, მსგავსი რამე არ დასცდებოდა. ილაპარაკა, რომ თუ არ აირჩევენ ცენტრალურ ხელისუფლებას, იქ დაისჯება ხალხი – იმ რეგიონისა და იმ ქალაქის მცხოვრებლები, რომლებიც არ გააკეთებენ მისთვის სასურველ არჩევანს. ამას თვითმმართველობის ცოდნაც არ სჭირდება. კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას დავანებოთ თავი და ელემენტარული რაღაცაა ეს, რომ როდესაც ასეთ რამეს ამბობ პრემიერ-მინისტრი, მთელი მსოფლიოს წინაშე აღიარებ, რომ ავტორიტარიზმი გინდა. ნიშნავს იმას, რომ გინდა, მხოლოდ შენ იყო ხელისუფლებაში და არც კი უშვებ იმას, რომ ხალხმა შეიძლება სხვა არჩევანი გააკეთოს. ამაზე უარესი რა უნდა ქნას პოლიტიკოსმა, არ ვიცი, რთულად წარმომიდგენია.

***– ეს იმის აღიარებაა, რომ არჩევნები არაფერს არ წყვეტს და ფორმალურად ვატარებთო?***

– არა, მთლად ასე არ არის, სხვა განცხადებებსაც აკეთებს, აი, არჩევნები დამთავრდება და მივხედავთ ქვეყანასო. მისთვის არაფერია, რადგან ის ხომ არავინ არ არის, მთავარი ბიძინა ივანიშვილია და ის უყურებს ქვეყანას. ახლა არჩევნები მოსაგებია და მოსაგებად ყველაფერი „მოსულა“. არის რაღაცები, რაც არ შეიძლება, მაგრამ, არ შეიძლება იმიტომ, რომ შეიძლება ამის გამო საზღვარგარეთიდან მიიღონ სერიოზული პრობლემები. ამიტომ ფიქრობენ, რომ არჩევნები უნდა გადააგორონ და ამ გადაგორების ამბავშია.

ახლა ავტორიტარული მიდრეკილებები რომ აქვს ამ ხელისუფლებას და თავად ბიძინა ივანიშვილს, რომელიც ხელისუფლების გაყოფას არც განიხილავს და საერთოდ სხვა ვარიანტს, გარდა იმისა, რაც არის, ეს, ამდენი ხანია, ვიცით.

***– დასავლეთის შენიშვნები ისევ აღელვებთ?***

– რა თქმა უნდა. ზუსტად ეგაა საქმე. ბიძინა ივანიშვილი ის ადამიანია, რომელიც ანგარიშს მხოლოდ მასზე ძლიერს უწევს. სუსტს ის ანგარიშს არ უწევს.

***– მაშინ, პრემიერმა რატომ გააკეთა ევროპარლამენტარებზე განცხადებები, საკუთარ ქვეყანას მიხედონო და ა.შ?***

– სადამდეც გაუვა, გააკეთებს, ისევ იტყვის. გააჩნია, სადამდე გაუვა. სერიოზული დარტყმა როდესაც მოდის ხოლმე, მერე ჩერდება და უკან იხევს. სანამ გასდის, თავისსას მიაწვება. ტიპური დამოკიდებულებაა. ასეთი ტიპის დამოკიდებულებაა, რაც 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანის დასაწყისში რუსეთის ბიზნესწრეებში იყო. იქ არის ნაცხოვრები მაგ დროს ივანიშვილი და სხვანაირად ვერ აზროვნებს. სანამ გაგდის, უნდა მიაწვე შენსას და, როცა აღარ გაგდის, უნდა დაიხიო უკან, მერე ისევ მიაწვე და ეგ ფილოსოფიაა.

***– კობახიძის განცხადებაც მანდედან იყო, როდესაც მან სააკაშვილის ლობისტები უწოდა ევროპარლამენტარების ერთ ნაწილს?***

– რა თქმა უნდა. დიდი ხანია, მაგას ლაპარაკობენ შიგნით, უბრალოდ, ახლა გარეთ დაიწყეს ლაპარაკი. ამაზე თუ ცხვირში მოხვდებათ, მათივე ენით რომ ვთქვათ, მერე სხვანაირად ალაპარაკდებიან, არ მოხვდებათ და ისევ ილაპარაკებენ.

***– ახალ „ლეველზე“ გადავიდნენ, როცა გარეთაც დაიწყეს ამაზე ლაპარაკი?***

– ეს დამოკიდებულება მათაც და ივანიშვილსაც სულ ჰქონდათ. როდესაც მის წინააღმდეგ რამეს ამბობდნენ, ყოველთვის ეჭვობდნენ, რომ სააკაშვილისკენ იყვნენ, სააკაშვილმა იყიდა... ეს არის ადამიანი, რომელიც ყველაფერს პერსონალურ ასპექტში განიხილავს. ან მისკენ ხარ, ან სააკაშვილისკენ. ახალი ჩემთვის არაფერი თქმულა ამ მხრივ, უბრალოდ, საჯაროდ რომ ამბობენ, ეს ნიშნავს, ჩათვალეს, რომ გაუვათ.

მეორე მხრივ, ესეც არ არის გასაკვირი, იმიტომ რომ, ვინც მკვეთრი განცხადებებით გამოდის სააკაშვილის დაჭერაზე, ტრადიციულად, ბალტიისპირეთი და პოლონეთია. ეს ქვეყნები სააკაშვილს უყურებენ, როგორც პუტინის მტერს და ამიტომ მისი გულშემატკივრები არიან. აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებისგან უფრო მკაცრ პოლიტიკას ითხოვენ რუსეთის მიმართ. დანარჩენი ევროპიდან სააკაშვილის დაჭერაზე ნაკლები გართულებაა.

***– რატომ?***

– ეს ასეა ყოველთვის. სააკაშვილი მათთვის არის საფრთხე და დესტაბილიზაციის შიში აქვთ. რაღაცა შეიძლება აურიოს ქვეყანაში, რუსეთთან ურთიერთობებიც გაამწვავოს უფრო მეტად. როგორც არასტაბილურ ტიპს, ისე უყურებენ. სხვაა ბალტიისპირეთის, პოლონეთისა და იმ ქვეყნების დამოკიდებულება, რომლებსაც რუსეთის მიმართ ანტაგონისტური დამოკიდებულება აქვთ. ეტყობა, ივანიშვილმა ჩათვალა, რომ ეს არ არის მთელი ევროპა და მთელი დასავლეთი. მთლად უსაფუძვლო არ არის ეს აზრი და ამიტომ ლანძღავს, თუმცა არ ესმის, რომ ამით შეიძლება ისინიც გადაიკიდოს, რომლებიც დღეს არ აქტიურობენ – იგივე დასავლეთ ევროპა და აშშ.

***– მეორე მხრივ, ნიკა გვარამიამ სააკაშვილის ადვოკატის პოზიციიდან გააკეთა განცხადება, რომ ციხის საავადმყოფოში იგეგმება ბუნტის იმიტაცია და სააკაშვილის ლიკვიდაცია.***

– არა, ეს სისულელეა. რაში აწყობს ხელისუფლებას სააკაშვილის ლიკვიდაცია?! ამ ლაქას მთელი ცხოვრება ვერ ჩამოირეცხავენ. როგორ შეიძლება, ასეთი რამე დაუშვან!

***– მთლად პუტინისტური გზით რომ წავიდნენ, მაშინაც არ გააკეთებენ ამას?***

– როდის წასულან პუტინისტური გზით? ვინ მოუკლავთ, ვინ მოუწამლავთ? მართლა პუტინის აგენტები კი არ არიან. ნაცები იძახიან, ასე დაიჯერეს კიდევ ვიღაცებმა. აბსოლუტურად განსხვავებული სტილი და ხელწერა აქვთ. უბრალოდ, რუსეთთან მიმართებით არიან უფრო მფრთხალები. ვერ ვიტყვი, რომ ფრთხილები – მფრთხალები. ცდილობენ, არ აწყენინონ მას.

***– კავშირებს ვერ ხედავთ რუსეთთან?***

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# „ოპოზიცია რეალურად ბიძინა ივანიშვილს ებრძვის“

## ანზორ ბიწაძე: „ჩვენ ერთ-ერთი პირველი პარტია ვიყავით, რომელიც ამბობდა, რომ თუ ერთობა არ იქნება, ოპოზიცია ვერ დაამარცხებს ადამიანს, რომელიც საქართველოს ეკონომიკაზე მდიდარია“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ანზორ ბიწაძე პასუხობს.**

***– ანზორ, ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურისთვის მიდის აქტიური მზადება. ხელისუფლება ოპოზიციას ამზადებს, რომ პროვოკაციას გეგმავს, ხოლო ოპოზიცია – ხელისუფლებას. რამდენად დაძაბული არჩევნები გველის და რა მოლოდინი გაქვთ?***

– ზუსტად ისევ ისეთი მძიმე საარჩევნო გარემო გვაქვს, როგორიც გვქონდა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის, განსაკუთრებით კი 2015-2016 წლების შემდეგ. პროვოკაციას რაც შეეხება, ის განცხადებები, რომლებსაც პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი აკეთებენ, სწორედ ეს არის პროვოკაცია. 100%-ით პროვოკაციულია. ვისაც რა არ უნდა დააბრალონ და მოუგონონ, თვითონ გამოდიან და პირდაპირ ეთერში დაუღალავად და დაუფარავად აკეთებენ პროვოკაციულ განცხადებებს.

***– კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

– არც კი ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო, დაწყებული იმით, რომ პრემიერ-მინისტრმა ფაქტობრივად დააანონსა, თუკი ოპოზიციონერი მოიგებს რომელიმე მუნიციპალიტეტში, საქმის კეთებას არ ვაცდით და ბიუჯეტში ფულს არ მივცემთო, ანუ კაცი, რომელსაც ქვეყნის ბედი აბარია, ბიძინა ივანიშვილის მიერ აქვს გადაცემული ქვეყნის მართვა, ამბობს, იქ, სადაც ოპოზიციურად არის განწყობილია მოსახლეობა, ის მე არ მაინტერესებს, ის მოსახლეობა არ არის საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქე და მე იმას არ დავეხმარებიო. ეს არის ერის დაყოფა ე.წ. ჩემიანებად და სხვისიანებად. გამოდის პრემიერი და ამბობს, ვინც ჩემიანია, იმას ყველაფერს გავუკეთებ, ხოლო ვინც ჩემიანი არ არის, ის უნდა მოკვდეს შიმშილითო. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლებების დროსაც ბევრი მაღალი თანამდებობის პირი ასე ფიქრობდა, მაგრამ ხმამაღლა მაინც არ ამბობდნენ ამას, მიუხედავად ამისა, დაამთავრეს ძალიან ცუდად. გამოვიდა და ასე ღიად დაიმუქრა პრემიერ-მინისტრმა, ანუ რა გამოდის, ვინც მხარს არ უჭერს, ის ვერ მიიღებს ვერაფერსო?! პრემიერ-მინისტრი პირდაპირ გვიანონსებს, რომ ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ პარტიას მისცემენ ხმას. ავტორიტარული რეჟიმებიც კი დეკლარირებულად ყოველთვის ერიდებიან ასეთი განცხადებების გაკეთებას.

***– ანუ გაქვთ მოლოდინი, რომ სიტუაცია დაიძაბება და ხელისუფლება შეეცდება, გააყალბოს არჩევნები?***

– ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნახეთ, რას აკეთებს ხელისუფლება, როგორც არ უნდა არ მოსწონდეს ვინმეს ოპოზიცია, ვერავინ ვერ იტყვის, რომ ოპოზიცია წინასაარჩევნოდ კამპანიას არ ატარებს. ხელისუფლება კი რას აკეთებს? კამპანიას კი არ ატარებენ პრემიერ-მინისტრი და მმართველი პარტიის თავმჯდომარე, ესენი არიან შემოვლაზე, ხვდებიან მუნიციპალურ მთავრობებს, ადგილობრივ სუსსა და ადგილობრივ შს სამინისტროს წარმომადგენლებს. შემოვლაზე არიან ქვეყანაში და იფიქრებ, ოპერაციას გეგმავენ და არა მეორე ტურსო.

***– დასავლეთ საქართველოში სპეცრაზმი შეიყვანესო. ამაზე რა ინფორმაციას ფლობთ?***

– სადაც ფიგურირებენ სპეცრაზმი და უშიშროების სამსახურები, არასდროს არ ვსაუბრობ, თუ ინფორმაცია არ მაქვს, რადგან შემდეგ ბევრი სპეკულაცია მოჰყვება ხოლმე ამას და არ არის სწორი ამ თემებით თამაში, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ორი ადამიანი არანაირ საარჩევნო კამპანიას არ ატარებს და შემოვლაზე არიან ოპერაციის დაწყების წინ. აი, ეს არის ფაქტი, რასაც ისინი ტელევიზიით გვაყურებინებენ ყოველდღე. რა იქნება და ამას რა მოჰყვება, ვერ გეტყვით, თუმცა ფაქტია, ხელისუფლებას არაფერი ეტყობა, რომ მეორე ტურისთვის ემზადება. ისინი ემზადებიან რაღაც გაუგებარი ამბების მოსაწყობად. წინასაარჩევნო კამპანია გამოიყურება სხვანაირად და, რასაც კობახიძე და ღარიბაშვილი აკეთებენ, სულ სხვა რამეა.



***– ანზორ, მეორე მხარეს არის ოპოზიცია, რომელიც მეორე ტურში კოალიციის სახით მონაწილეობს. ამომრჩეველს ჩრდილოვანი კაბინეტიც წარუდგინეს. რამდენად უჭერთ მხარს და რა შანსები აქვს ოპოზიციას?***

– ჩვენ ერთ-ერთი პირველი პარტია ვიყავით, რომელიც მხარს უჭერდა და ყოველთვის ხაზს უსვამდა გარემოებას, რომ, თუ ერთობა არ იქნება, ვერც ერთ შემთხვევაში ოპოზიცია ვერ დაამარცხებს ადამიანს, რომელიც საქართველოს ეკონომიკაზე მდიდარია. რეალურად ღარიბაშვილსა და კობახიძეს ხომ არ ვებრძვით. ბრძოლა გაჩაღებული გვაქვს ბიძინა ივანიშვილთან. კოალიციას ყოველთვის მხარს ვუჭერდით. ამ ჩრდილოვან კაბინეტში ჩვენი პარტიიდან ორი ღირსეული ადამიანია წარმოდგენილი. ბრძოლას თუ ვაპირებთ, ზუსტად ასეთი ადამიანები არიან საჭირო. ჩვენ ამ ე.წ. ჩრდილოვან კაბინეტს, რა თქმა უნდა, მხარს ვუჭერთ და ვფიქრობთ, არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს ყველა რეგიონსა და ქალაქში ასე უნდა მომხდარიყო და გარწმუნებთ, დღეს აბსოლუტურად ყველგან მეორე ტური იქნებოდა, იმიტომ, რომ ერთიანობის გარეშე ვერავინ ვერ დაამარცხებს ბიძინა ივანიშვილს, როგორც პოლიტიკის აბსოლუტურ ბატონ-პატრონს. კარგად მესმის, რომ საქართველოში არიან პოლიტიკური პარტიები, რომლებისთვისაც სულაც არ არის სასურველი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომლებსაც სურთ, რომ ეს პარლამენტი როგორმე ბოლომდე იყოს და მომდევნო პარლამენტში იქნებ როგორმე მოხვდნენ. ეს მათი გადასაწყვეტია და მათი არჩევანია, თუმცა ასეთი პოლიტიკოსები, უბრალოდ, ზედმეტი ხარჯია ჩვენი მოსახლეობისთვის. მაგრამ პოლიტიკაში ყოფნას ვერავის ვერ ავუკრძალავთ. ჩვენ არ ვართ ბიძინა ივანიშვილის მიმდევრები.

***– გაქვთ მოლოდინი, რომ შესაძლოა, თბილისი მელიამ მოიგოს?***

– არათუ მოლოდინი გვაქვს, არამედ ჩვენ ვიბრძვით ამისთვის და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ თბილისში მოიგოს მელიამ! ერთი მხრივ, მელიამ წარმოადგინა ჩრდილოვანი კაბინეტი, სადაც წარმოდგენილია ექვსი პოლიტიკური სუბიექტი, სხვადასხვა პოლიტიკური გემოვნებისა და გამოცდილების ადამიანები. ერთი მხრივ, არის პროფესიონალთა გუნდი და, მეორე მხრივ, არის კახა კალაძე თავისი გუნდით, რომელიც თავიდან ბოლომდე კახა კალაძის ნება-სურვილზეა დაფუძნებული, ვინ ვიცემერი უნდა იყოს, ვინ – მერის მოადგილე, ვინ – რომელი რაიონის გამგებელი, ანუ თუ საქართველოს ბატონ-პატრონი არის ბიძინა ივანიშვილი, თბილისის ბატონ-პატრონი უნდა იყოს კალაძე ისე, რომ არავისთან ვალდებულება არ ჰქონდეს და არავის აზრი არ ჰკითხოს. მე ვფიქრობ, თბილისელებმა უნდა გააკეთონ არჩევანი კოალიციის სასარგებლოდ. ასი კაცი რომ გააჩერო ქუჩაში, ყველა გეტყვის, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ევროპული მომავალი უნდა და, თუკი ასეა, მაშინ კოალიციურ მთავრობას უნდა დაუჭირონ მხარი. თუ ევროპა გვინდა, მაშინ რანაირად მივდივართ და ვხაზავთ 41-ს და რანაირად ვეგუებით იმას, რომ ერთი ოლიგარქის ხელშია ქვეყანა?! მე მგონი, დროა, საზოგადოებაც ჩამოყალიბდეს, თორემ ასე ყველაფრის ოპოზიციისთვის გადაბრალება შორს ვერ წაგვიყვანს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მელიას მიერ წარმოდგენილი ჩრდილოვანი კაბინეტი კოალიციური არ არის“

## გიგა ბუკია: „ქართულმა ოცნებამ“ პირველ ტურში სილა მიიღო“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურის წინ არსებულ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატს გიგა ბუკიას.**

***– ადგილობრივი თვითმმართველობის მეორე ტურს უწოდებენ ისტორიულს, ეპოქალურს. თქვენ რას იტყვით? წყდება ქვეყნის ბედი 30 ოქტომბერს?***

– ქვეყნის ბედი არ წყდება. თუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების საკითხს შევეხებით, აქ მნიშვნელოვანია მერის არჩევისას დადგენილი 50-%-იანი ბარიერი. განსაკუთრებული პოლიტიკური დატვირთვა მიმდინარე პროცესებმა მიიღო სააკაშვილის საქართველოში შემოსვლის გამო. ამის შემდეგ ორპოლუსიანობა უფრო გამძაფრდა. ორპოლუსიანობის მანკიერებაზე ბევრჯერ მისაუბრია. ახლა ორივე მხარემ, „ქართულმა ოცნებამაც“ და ნაცმოძრაობამაც უფრო მწვავე ხერხებს მიმართეს. ორივე იყენებს ყველა მეთოდს, მათ შორის სიცრუეს, შეურაცხყოფას. მორალური კრიტერიუმები და პასუხისმგებლობის შეგრძნება არც ერთი ძალიდან არ ჩანს. ორივე მოსახლეობას არწმუნებს, რომ ხელისუფლების ბედი წყდება. სააკაშვილი ციხეშია. ამაზე მეტი რა უნდა ქნას? „ოცნებამაც“ ამაზე მეტად როგორ უნდა დააშინოს ხალხი?!

***– მხედველობაში გაქვთ ის, რომ „ოცნება“ ხალხის ნაწილს სააკაშვილით აშინებს?***

– დიახ. სააკაშვილის მმართველობისგან დაზარალებული ბევრია. „ოცნება“ ხალხს აშინებდა, რომ თუ მას არ აირჩევენ, სააკაშვილი მოვა.

***– სააკაშვილის ჩამოსვლა თუ ჩამოყვანა მხოლოდ ორპოლუსიანობას ხომ არ მოემსახურებოდა?***

– რა თქმა უნდა, ორივე ძალას, ორივე პოლუსს გათვლილი ექნებოდა სცენარები. სააკაშვილი „ოცნების“ გარეშე ვერ შემოვიდოდა. ამ არჩევნებს ახალი დატვირთვა მიეცა 43%-იანი ბარიერის გამო. ამან ითამაშა კატალიზატორის როლი. ამან გამოიწვია სააკაშვილის ჩამოსვლა თუ შემოსვლა. მმართველი პარტიის ამოცანა გახდა 43%-იანი ზღურბლის გადალახვა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თავიდან აცილება. თავის მხრივ, ნაციონალური მოძრაობა რაზმავდა თავის ამომრჩეველს და ამზადებდა ვადამდელი არჩევნებისა და გამარჯვებისათვის. ეს ბოლო გასროლასავით იყო.

***– გამოდის, რომ ეს არჩევნები მათი გადმოსახედიდან ისტორიული ყოფილა?***

– ეს არჩევნები, მათი აზრით, არის ხელისუფლების შეცვლის წინაპირობა.

***– თბილისის მერობის კანდიდატმა ნიკა მელიამ წარმოადგინა ე.წ. ჩრდილოვანი კოალიციური კაბინეტი. დასახელებულ ოპოზიციონერ კანდიდატებს საზოგადოება არაერთგვაროვნად შეხვდა.***

– მელიას მიერ წარმოდგენილი ჩრდილოვანი კაბინეტი კოალიციური არ არის. მოადგილეების კანდიდატებსა და სხვებსაც თუ გადავხედავთ, მივიღებთ ნაციონალურ მოძრაობასა და „ლელოს“, რომლის ლიდერი ლოიალური იყო სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ. ნაციონალური მოძრაობა სულ ახლახან იყო ხელისუფლებაში. ხალხს ის არ დავიწყებია. მოსახლეობამ კარგად იცის ნაციონალური მოძრაობის სახეებიც, მისი წევრებისა და ლიდერების სახელები და გვარები. რომელი არ იყო სააკაშვილის ნების შემსრულებელი?! ასეთს ვერავინ დაასახელებს.

***– ნაციონალური მოძრაობიდან სხვადასხვა ჯგუფის გასვლის თაობაზე ამბობდით, რომ ნაციონალური მოძრაობა გაიშალა და ის შეერთდება.***

– სწორედ ამასთან გვაქვს საქმე. ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ნაციონალური მოძრაობის დაყოფას ჰქონდა სტრატეგიული მიზანი და ისინი გაერთიანდებოდნენ. აგერ, რა ომახიანად შეერთდნენ! გაუგებარია, რატომ დაირქვეს კოალიცია. ეს არანაირი კოალიცია არ არის. კოალიცია იყო 2002 წელს, როცა ნაციონალურ მოძრაობასთან გაერთიანდნენ ეროვნულ ძალთა გაერთიანება და სხვა პარტიები თუ ჯგუფები. კოალიცია ჩამოყალიბდა ასევე 2011 წელს ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით.

***– მასში თქვენი პარტიაც შევიდა.***

– ჩვენ, კონსერვატორებს, იქ გაერთიანებულ სხვა პარტიებთან, მაგალითად, რესპუბლიკელებთან, იდეოლოგიური განსხვავება გვქონდა. კოალიციამ მოითხოვა და ჩვენ ყველანი გავერთიანდით „ქართულ ოცნებასთან“ ერთად. კოალიციების კლასიკური მაგალითები მოგვიყვანეთ. მელიას მიერ წარმოდგენილი შემადგენლობა კოალიციასთან ახლოსაც არ არის.

***– კოალიციად შეიძლება არ ჩაითვალოს, მაგრამ ხომ არ არის ეს მომავლის მონახაზი?***

– ეს ამომრჩეველზეა დამოკიდებული. მესმის, რომ ძნელია გააკეთო სხვა არჩევანი, როცა ყოველდღე შენზე მიდის საინფორმაციო შტურმი, როცა ძალით გთავაზობენ არჩევანს „ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას შორის, როცა ქვეყანას ხელოვნურად ყოფენ ორ ბანაკად.

***– ამომრჩეველს აქვს საშუალება, იყოს ინფორმირებული და ვინმე სხვას მისცეს ხმა.***

– ეს ასე ადვილი არ არის, როცა მიმდინარეობს ტვინების გამორეცხვა, როცა მიმდინარეობს სიცრუის ტირაჟირება. საფრანგეთში სიცრუისთვის სასჯელი არსებობს – ჯარიმიდან დაწყებული, პატიმრობით დამთავრებული. აშშ-ს აწუხებს საინფორმაციო ჩარევა თავის არჩევნებში. საქართველოსნაირ პატარა, სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში უფრო ძნელია სიცრუესთან და საინფორმაციო ძალადობასთან გამკლავება. ჩემი ნაცნობებიდან ბევრმა შეწყვიტა ტელევიზორიდან ინფორმაციის მიღება. მათ სხვა საშუალებები არჩიეს. საინფორმაციო იერიშსა და საზოგადოებაზე ზემოქმედებას თავის დროზე ვერ გაუძლო გერმანიამ და შედეგად იქ სათავეში მოვიდა ჰიტლერი.

***– ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ მეორე ტურს ოცივე ადგილას მოიგებს. თქვენ სამეგრელოზე მეტი ინფორმაცია გაქვთ. ამ კუთხეში არსებულ განწყობებზე რას იტყვით? „ოცნებას“ თავი ქუდში აქვს?***

– „ოცნებას“, ხელისუფლებას აშკარად აკლია ანალიზი. უფრო უკეთესად რომ იყვნენ ინ-



ფორმირებული და შესაბამისი ანალიზი ჰქონდეთ გაკეთებული, ასე არ იბაქიბუქებდნენ. ეს ეხება სამეგრელოსაც. რასაც ვაკვირდები, სამეგრელოში (ალბათ, სხვაგანაც) ხალხს არ მოსწონს „ქართული ოცნების“ ახლანდელი ლიდერშიფის რიტორიკა.

***– რომელი რიტორიკა?***

– როცა შეურაცხყოფას აყენებ კაცს, რომელიც ცოტა ხნის წინ „ქართული ოცნების“ სიის პირველი ნომერი და პრემიერი იყო. „ქართულ ოცნებას“ გვერდით აღარ ჰყავს დამფუძნებელი და ლიდერი ბიძინა ივანიშვილი, ასევე მას გაემიჯნა კიდევ ერთი ლიდერი – გიორგი გახარია. ამის გამო მმართველი პარტიის მიმართ ნდობა საგრძნობლად შემცირდა. მეც მიმაჩნია, რომ პოლიტიკოსები ერთმანეთისა და საკუთარ ღირსებას მეტად უნდა გაუფრთხილდნენ. ასეთი რადიკალიზმის პირობებში კოალიცია როგორ უნდა შექმნან?! „ქართულმა ოცნებამ“ პირველ ტურში სილა მიიღო. რა მოხდება შემდეგ, ხალხის გადასაწყვეტია. დასანანია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალურმა მოძრაობამ უკიდურესად დაასუსტეს სხვა პარტიები, განსაკუთრებით – პატარა პარტიები. „ოცნებამ“ თავისი ნაბიჯებით გარკვეული ფასი უკვე გადაიხადა. მომავალშიც მოუხდება ფასის გადახდა. „ქართულ ოცნებას“ ქვეყნის მართვა ძალიან გაუჭირდება.

# „ჩემთვის ნაციონალებიდან და „ოცნებიდან“ მისაღები არც ერთი არ არის“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „დღეს გვაქვს შეზღუდული კოალიცია, რომელიც რეალური კოალიციისგან შორს არის“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, ჩვენ ვხედავთ, რომ პოლიტიკური პროცესი ორ ძალას – „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას უკავშირდება. როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს?***

– ქვეყანაში მართლაც რთული მდგომარეობაა. სამწუხაროდ, ადამიანებს არჩევანი ცუდსა და უარესს შორის დაუტოვეს. ეს უკვე ლამის ტრადიციად იქცა. დიდი ხანია, ასე ხდება. შუა გაკრიფეს.

რაც შეეხება იმ ყველაფერს, რაც მთელ ამ პროცესს ახლავს, თურმე ვიღაცა ვიღაცას შეთქმულებას უწყობს, თურმე ვიღაცა ვიღაცის გატაცებას აპირებს და ა.შ. ამაზე საუბარი არასერიოზულია. ორ სახელისუფლებო ძალას შორის მიმდინარეობს ჭიდილი, ორივე იბრძვის ძალაუფლებისთვის და ამ დროს ხალხი და ქვეყანა არავის ახსოვს. არც ერთი მოუტანს ამ ქვეყანას სიკეთეს და არც მეორე. ერთადერთი, რის თქმაც შემიძლია, ის არის, რომ ერთმანეთის ჯინაზე თუ რამეს გააკეთებენ და ასე თუ რამეს გამოჰკრავს ხელს



მცირე სარგებელს ამ ქვეყნის მოქალაქე. სხვა სიკეთე ამათგან წარმოუდგენელია.

***– თქვენ სად ხედავთ გამოსავალს?***

– გამოსავალი ერთადერთია – მრავალპარტიულობა და დაბალანსებული მმართველობა და არა არჩევანი ცუდსა და უარესს შორის, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს გვაქვს. რეალური მრავალპარტიულობა უნდა მიგვეღო, რომელიც დღეს არ გვაქვს. გვაქვს გარკვეული, შეზღუდული კოალიცია, რომელიც რეალური კოალიციისგან შორს არის. ამ კოალიციაში ნაციონალური მოძრაობის როლი განუსაზღვრელია, ვიდრე იმ პარტიების, რომლებიც ამგვარ თანამშრომლობას დასთანხმდნენ, მაგრამ, რაც არის, ეს არის.

მთავარი პრობლემა მდგომარეობს არა იმაში, თუ ვინ იქნება დასუფთავების ან სხვა ნებისმიერი სამსახურის ხელმძღვანელი, არამედ იმაში, რომ საბოლოო მიზანი და მთელი პოლიტიკური სპექტრის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ვადამდელი არჩევნები.

***– რამდენად რეალურია ამ ფონზე ვადამდელი არჩევნები?***

– სავსებით რეალურია, თუ ეს იქნება ამ ქვეყნის მოქალაქეების სურვილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სავსებით ბუნდოვანია და ამ ბუნდოვანებაში ივანიშვილის რეჟიმთან ერთად თავისი წვლილი, ცხადია, სააკაშვილმაც შეიტანა. ვნახოთ, ამ მიმართულებით როგორ განვითარდება მოვლენები. ამჟამად დიდად სახარბიელო მდგომარეობა არ გვაქვს.

სანამ არ მივაღწევთ ნამდვილ კოალიციას, ნამდვილ მრავალპარტიულობას, მანამდე ქვეყანაში მდგომარეობის არსებით გაუმჯობესებაზე, სიტუაციის ცვლილებაზე საუბარი ზედმეტია, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს უნდა იყოს ბრძოლის მიზანი, რადგან ქვეყანას, მის პერსპექტივას ვკარგავთ. 30 წელია, ერთსა და იმავე წრეზე ვტრიალებთ. ასე ვიტრიალებთ მანამ, სანამ დაბალანსებული და ურთიერთკონტროლზე დაფუძნებული მინისტრთა კაბინეტი არ შეიქმნება. ეს, პირველ რიგში, ამომრჩეველმა უნდა გააცნობიეროს. თუ არადა, ვიქნებით ფულის კეთებაზე ორიენტირებული მთავრობებისა და მინისტრების ხელში. თუ ეს გვინდა, კი ბატონო, მაგრამ ეს ნიშნავს ქვეყნის, ჩვენი შვილების მომავლის გაწირვას.

***– როგორ ფიქრობთ, რამდენად შეუძლია დღეს ამ ორ ძალას დამარცხების აღიარება? თუ წააგო „ოცნებამ“, რამდენად აღიარებს, არის ამისთვის მზად?***

– ერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ დღეს ივანიშვილი არ არის დამარცხების აღიარებისთვის მზად. ამიტომ ის ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს არ მოხდეს. თუმცა ყველაფერი საზოგადოების აქტიურობაზეა დამოკიდებული. თუ მაღალი აქტივობა იქნება 30 ოქტომბერს, მაშინ, დარწმუნებული ვარ, მოუწევთ. სხვა გზა, უბრალოდ, აღარ დარჩებათ. დამარცხების აღიარება ყველა რეჟიმს მოუხდა თავის დროზე და ერთ მშვენიერ დღეს ამ რეჟიმსაც მოუწევს. ამიტომ ჯობია, ახლავე დაიწყოს მზადება ამისთვის „ოცნებამ“.

ვიმეორებ, ჩემთვის ამ ორი მსხვილი ძალიდან არც ერთი არ არის მისაღები, მაგრამ, თუ რამდენიმე მუნიციპალიტეტში მაინც საზოგადოება შეძლებს, ძალაუფლება დაათმობინოს „ოცნებას“ და ერთპიროვნული, მონოპოლიური მმართველობის ჰეგემონიიდან რაღაცნაირად გადავალთ შერეულ მმართველობაზე, ეს ბევრად უკეთესი იქნება. რასაკვირველია, ეს სჯობია განუსაზღვრელ, უკონტროლო ძალაუფლებას. ისე კი მრავალპარტიულობა არის ერთადერთი გზა, რომელიც უკვე გამოცდილია და რომელმაც, ასე თუ ისე, დემოკრატიული მმართველობა უზრუნველყო ევროპაში.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

# „სააკაშვილის ლიკვიდაცია სისულელეა...“

– რა კავშირები?! ასე ყველასთან შეიძლება. არ ვიცი, რაღაც ჩუმი კავშირები თუ აქვთ. მე ვხედავ, პოლიტიკაში რაც ხდება. 9 წელია, დიპლომატიური ურთიერთობა არ აღუდგენიათ. ყველა ანტირუსული რეზოლუცია რაც არის, თითქმის ყველგან შეერთებულია. ჩუმად თუ უხდიან ბოდიშებს 9 წელი, ეს არ ვიცი. ჩემი აზრით, ამაზე ლაპარაკი სისულელეა, რომ აქ რაღაც მიზანმიმართული შეთქმულებაა.

სააკაშვილს რამე რომ დაემართოს, ეს იქნება ივანიშვილისთვის პირდაპირი განაჩენი და არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში. ის ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს არ მოხდეს.

***– კი ბატონო, მაგრამ შიმშილობის გამო მძიმე მდგომარეობა აქვს, როგორც გვეუბნებიან და ხელისუფლება უმოქმედოა.***

– მე რაც ვიცი მისი პირადი ექიმისგან, ვიცი ის, რომ შესაძლოა დადგეს მისი ჰოსპიტალიზაციის საკითხი. თუ დადგება ეს საკითხი და ის არ შეჭამს არაფერს, კვების პროდუქტებს მის ორგანიზმში შეიყვანენ მედიკამენტოზური გზით და ასე შეიძლება 1.5 წელი იცოცხლოს. ამიტომ მას გაუფრთხილდებიან ყველანაირად. უფრო სწორი იქნებოდა და ველი, რომ ის არჩევნების შემდეგ შეწყვეტს შიმშილობას, ოღონდ, სანამ მეორე ტური არ ჩატარებულა, ის არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებს ამას. მერე შეწყვეტს, მართლა თავს ხომ არ მოიკლავს! რას მისცემს ეს ან მას, ან ვინმეს საერთოდ. ხელისუფლება კი გაუფრთხილდება, რომ არაფერი დაემართოს. ელემენტარული ლოგიკა ამბობს ამას და იმიტომ კი არა, რომ ძალიან უყვართ, პირიქით, ერთი სული აქვთ, მოიცილონ თავიდან, მაგრამ ასე მალე არ მოხდება. დიდი ეჭვი მაქვს, რომ არჩევნების შემდეგ საერთოდ გადასცემენ უკრაინას რაღაც პერიოდის მერე.

***– ასე რატომ გგონიათ?***

– 6 და 7 წელი სააკაშვილი ციხეში რომ იჯდეს, იქიდან ნელსონ მანდელა გამოვა. თუ უნდათ, კი ბატონო, ჰყავდეთ. თუ მისგან ნელსონ მანდელას შექმნა, მისი სრული გაგმირება და რომანტიზება უნდათ, მაშინ ჰყავდეთ დიდი ხანი ციხეში. მერე ციხიდან გამოვა გმირად.

***– ციხეში ყოფნა და ნელსონ მანდელას გზით წასვლა გმირობა რატომ არის?***

– მანდელა თავის დროზე ციხეში რომ ჩაჯდა, ტერორისტი იყო, საპროტესტო დემონსტრაციაში კი არა, შეიარაღებულ თავდასხმაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული, რის შედეგადაც ხალხი დაიხოცა და ჩასვეს ციხეში. მერე ციხეში იბრძოლა, 27 წელი იჯდა და იქცა ლეგენდად. ასე ხდება, რომ ადამიანებს პატიმრის მიმართ უჩნდებათ თანაგრძნობა, მით უმეტეს, როცა ის პატიმარი მყარად დგას და ხელისუფლებას უპირისპირდება.

ეს ასე მოხდება, რად უნდა ლაპარაკი და უკვე ხდება ჩვენ თვალწინ. ამიტომ, ხელისუფლებაში თუ ვინმეს ჭკუა აქვს, მისი ციხეში ყოფნა არავის არ უნდა აწყობდეს.

***– მაინც უკრაინისთვის გადაცემას ელით?***

– ალბათ უფრო უკრაინას გადასცემენ. თუ თავად ბიძინამ არ იძალა, რომ არა, იყოს ციხეშიო, არ ვიცი. თუ უყურებთ, არჩევნებამდე მაინცდამაინც არ აწუხება უკრაინის ხელისუფლება. არ გამოვრიცხავ, რომ მათ შორის რაღაც ჩუმი მოლაპარაკებები იყოს, არჩევნების მერე რაღაცას ვიზამთ.

# ღარიბაშვილი: „სავალდებულო ვაქცინაციას არ დავუშვებ“

– ცალსახად მინდა ვთქვა, რომ მე, როგორც საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი, არ დავუშვებ სავალდებულო ვაქცინაციას.

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

როგორც მან ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, მოქალაქეები არ უნდა ვაიძულოთ, მოქალაქეები უნდა დავარწმუნოთ იმაში, რომ ვაქცინაცია არის ერთადერთი გამოსავალი ამ პანდემიასთან ბრძოლაში.

– ჩვენს მოქალაქეებს აქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება. მე ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ ჩამომეტანა დროულად საკმარისზე მეტი ვაქცინები. მილიონობით ვაქცინა ჩამოვიტანეთ, პირადად მე ვიყავი ჩართული მოლაპარაკების პროცესში. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ მოქალაქეები და არა ვაიძულოთ, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. დავარწმუნოთ, რომ ეს არის ერთადერთი უალტერნატივო გამოსავალი. ვაქცინაციაში ჩავერთოთ და ავიცრათ.

ორი მილიონი აცრა ჩავატარეთ, მილიონი მოქალაქის აცრა შევძელით სულ რაღაც სამ თვეში, ვფიქრობ, რომ ეს არის კარგი ეფექტური შედეგი. ეს პროცესი არ არის მხოლოდ ჩვენთან, ბევრ ევროპულ სახელმწიფოში და ასევე ამერიკაში არის ანტივაქსერების მძლავრი კამპანია. ჩვენ უნდა ვენდოთ მეცნიერებს და არა – ყალბ ინფორმაციებს, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

# „მელიასთვის მიცემული ხმები რეალურად მიხეილ სააკაშვილის ხმებია“

## მამუკა ტუსკაძე: „თუ მართლა მაგრები არიან, დეპუტატის მანდატები ხაზარაძემ, ზურაბ-გირჩი ჯაფარიძემაც დატოვონ“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი მამუკა ტუსკაძე პასუხობს.**



***— ბატონო მამუკა, თბილისის მერობის კანდიდატმა ნიკა მელიამ ჩრდილოვანი ე.წ. კოალიციური მთავრობა წარმოადგინა. თქვენ როგორ აფასებთ ამ ნაბიჯს?***

— ერთი შეხედვით, ჩანს, თითქოს საფუძველი ეყრება კოალიციურ მმართველობას ქალაქ თბილისის დონეზე.

***— ერთი შეხედვით რატომ?***

— იმიტომ, რომ წარმოდგენილ პერფორმანსს (ამომრჩევლის რაღაც ნაწილის გულის მოსაგებად) პერსპექტივა არ აქვს.

***— რატომ არ აქვს პერსპექტივა?***

— რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზია. პირველი — თბილისში წარმოდგენილი ხმების რაოდენობა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო და არა ნიკა მელიამ. ნიკა მელია იყო ნაცმოძრაობის კანდიდატი, მაგრამ ხმები მიხეილ სააკაშვილმა მიიღო. შესაბამისად, ამ პერფორმანსის დროს მკვეთრად გამოიკვეთა და ნიკა მელიამაც განაცხადა, რომ არჩევნების მეორე დღეს ის ნაცმოძრაობის თავმჯდომარის პოსტს დატოვებს.

***— თქვენ თქვით, ნიკა მელიასა და მისი ჯგუფის მიხეილ სააკაშვილისაგან დისტანცირება ხდებაო. რით იგრძენით დისტანცირება მიხეილ სააკაშვილისაგან, არჩევნების მეორე დღეს შესაძლო გადადგომით?***

— ზუსტად ის განცხადებაა დისტანცირების მაჩვენებელი, რომ მელია არჩევნების მეორე დღეს ნაცმოძრაობის თავმჯდომარის პოსტიდან გადადგომას აპირებს. ნიკა მელიამ ყველაზე კარგად იცის, რომ თბილისის მერის არჩევნებში მისთვის მიცემული ხმები რეალურად მიხეილ სააკაშვილის ხმებია.

მიხეილ სააკაშვილის დამცველად ვერ გამოვდგები, მაგრამ რეალობა ასეთია. ამიტომ, თუ მიხეილ სააკაშვილი ცოტათი მაინც ეჭვს გაუჩენს საზოგადოებას, მელია მერად არჩეულ იქნეს თუ არა, ოდნავი ეჭვიც საკმარისია ამისათვის. ჩემი ინფორმაციით, ნაცმოძრაობაში დიდი განხეთქილებაა ნაცმოძრაობის ე.წ. რეფორმატორებსა (მელიაა ნაციონალების რეფორმატორების ჯგუფის ლიდერი) და სააკაშვილის გუნდს შორის.

***— სააკაშვილის გუნდში ახლა ვინ მოიაზრება?***

— სააკაშვილის გუნდში ნაცმოძრაობის ძველი წარმომადგენლები არიან. სააკაშვილის გუნდი პარტიის შიგნით აშკარად ძლიერია. ამიტომ, სავარაუდოდ, მელია და მისი გუნდი ნაცმოძრაობას გაეცლებიან. მელიას არა მარტო თავმჯდომარის პოსტიდან გადადგომა, არამედ ნაცმოძრაობის დატოვებაც მოუწევს. ეს, თავის მხრივ, შეიძლება, კარგიც იყოს.

***— როგორ?***

— ანუ ან მელია და მისი ჯგუფი გაერთიანდებიან „ლელოში“, ან შეიქმნება კიდევ ერთი პოლიტიკური მოძრაობა, რომლის სათავეში იქნება მელია უკვე შემდგარი ლიდერის სახით. მელიას, როგორც ნაცმოძრაობის ლიდერს, ჯერჯერობით არ აქვს იმის შანსი, რომ ხელისუფლება დაამარცხოს, თან — მიშას გარეშე.

***— მიშას შეუძლია?***

— მიშასაც არ აქვს ხელისუფლების დამარცხების უნარი ჯერჯერობით, მელიას ხომ — მით უმეტეს. მეორე მთავარი მიზეზი ისაა, რომ ჩრდილოვანი მთავრობის პრეზენტაცია მხოლოდ ბუტაფორია და პერფორმანსია.

***— რატომ არის ბუტაფორია? კაცი ფიქრობს, რომ გაიმარჯვებს.***

— იმიტომ, რომ არჩეული მერის ყველა მოადგილე, ყველა სამსახურის უფროსი და ყველა გამგებელი საკრებულომ უნდა დაამტკიცოს. საკრებულოში აბსოლუტური უმრავლესობა „ქართულ ოცნებას“ ჰყავს. შესაბამისად, მელიას ერთი კაცის დამტკიცებაც კი არ შეუძლია, თუ „ქართული ოცნება“ მას არ შეუთანხმდება, მაგრამ საკრებულოს თავმჯდომარისა და ყველა თანამდებობის პირის საკითხი გადაწყვეტილია.

საკრებულოში 29 ხმით 21-ის წინააღმდეგ უმრავლესობას „ქართული ოცნება“ ფლობს. „ოცნებას“ ძალიან მარტივად შეუძლია ქალაქის მართვა. ქალაქის მერი ვინ იქნება, ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ექნება, იმიტომ, რომ ბიუჯეტსა და ყველა სამსახურის უფროსს საკრებულო ამტკიცებს. ამიტომ მელიას მხრიდან წარმოდგენილი სცენა ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრაა.

თვითმმართველობის კოდექსი ყველამ არ იცის და ჰგონიათ, თუ არჩევნების მეორე ტურში მელია მოიგებს, წარმოდგენილ შემადგენლობას მართლა წარადგენს. წარმოდგენილი ადამიანები თუ მართლა მაგრები არიან, როგორც მელიამ დატოვა პარლამენტის წევრის მანდატი (მელია არც ერთ თანამდებობაზე არ არის, გარდა პარტიის თავმჯდომარეობისა), ისე დატოვონ პარლამენტის მანდატები ხაზარაძემ, ზურაბ-გირჩი ჯაფარიძემ და ისე მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა. მაშინ შეიძლება, მეტ-ნაკლებად დავიჯერო, რომ სურვილი მაინც აქვთ.

პარლამენტის დეპუტატის მანდატს არ ტოვებენ და თან აცხადებენ, რომ ვიცემერები, გამგებლები ან სამსახურის ხელმძღვანელები იქნებიან. ასე რომ, მელიას ინიციატივა ბლეფია, ჩვეულებრივი ფარსი. ისინი ვერ მოიგებენ მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერებთან.

წარმოდგენილი ე.წ. კოალიციური მთავრობის კანდიდატებიდან არც ერთი არ არის ძველი ნაცმოძრაობიდან. კანდიდატები წარმოდგენილი არიან ნიკა მელიას გუნდიდან.

ე.წ. კოალიციურ მთავრობაში მელიას მოადგილეებად წარმოდგენილი არიან „ევროპელი დემოკრატების“ ირაკლი აბესაძე, „ლელოს“ მამუკა ხაზარაძე, „დროას“ ელენე ხოშტარია, „გირჩი — მეტი თავისუფლება“ ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე. სამსახურის ხელმძღვანელებიდან წარმოდგენილი არიან „ლელოელები“, „ევროპელი დემოკრატები“ და ნინო ბურჯანაძის პარტიის რამდენიმე წარმომადგენელი. ჯამში 7 პარტიის წარმომადგენლებისაგან არის შემდგარი ე.წ. ჩრდილოვანი მთავრობა.

***— ანუ, შეიძლება, ყველა მინუს ერთის ვარიანტი უნდოდათ გაეკეთებინათ, ყველა ოპოზიციურ პარტიას მინუს „ოცნება“, მაგრამ არ გამოუვიდათ.***

— შეიძლება, მაგრამ ახლა არ არის ყველა მინუს ერთის ვარიანტი. საპარლამენტო ოპოზიციური პარტიიდან მხოლოდ „ლელოა“. არც არასაპარლამენტო ოპოზიციიდან არის ყველა.

***— იქნებ მელიამ იმიტომ განაცხადა, არჩევნების შემდეგ პარტიის თავმჯდომარეობიდან გადავდგებიო, რომ თუკი ქალაქის მმართველობაში მოვა, პარტიის ხელმძღვანელობისთვის აღარ ეცლება.***

— არა, გადადგომას იმიტომ აპირებს, რომ სააკაშვილი უნდა აირჩიონ პარტიის თავმჯდომარედ.

***— საინტერესოა, სააკაშვილმა უთხრა, გადადექიო?***

— სავარაუდოდ, ეს სააკაშვილის მოთხოვნით ხდება. ფაქტობრივად, სააკაშვილს ეს პარტია შვილივით ჰყავს. მან 2000 წელს დააფუძნა ნაცმოძრაობა. მას შემდეგ 20 წელზე მეტია გასული და 550 ათასმა ადამიანმა, ვინც ხმა მისცა ნაცმოძრაობას, ე.ი. ხმა მიხეილ სააკაშვილს მისცა. ყველამ იცის, რომ ნაცმოძრაობა სააკაშვილის პარტიაა. ის არის ამ პარტიის თავიც და ბოლოც.

რამდენიმე წლის წინ მიხეილ სააკაშვილი პარტიის თავმჯდომარეობიდან გარკვეული მიზეზების გამო გადადგა. მას შემდეგ ნაცმოძრაობა დაიშალა და მის ბაზაზე რამდენიმე პარტია აღმოცენდა.

***— სააკაშვილს თავის დროზე მელია არ უნდოდა პარტიის თავმჯდომარედ, ვარშალომიძე უნდოდა, მაგრამ დემოკრატობანა გაითამაშეს, შიდაარჩევნები ჩაატარეს და მელიამ აჯობა ვარშალომიძეს.***

— ნაცმოძრაობამ რებრენდინგი წამოიწყო, რომელიც თითქოს მელიას უნდა გაეკეთებინა, მაგრამ სააკაშვილის 500 ათას ამომრჩეველზე რებრენდინგმა არ იმოქმედა. ბოლო ორმა არჩევნებმა აჩვენა, რომ ნაცმოძრაობის ხმები მიხეილ სააკაშვილისაა.

***— სხვათა შორის, ვრცელდება ძველი ვიდეო, სადაც სააკაშვილი ამბობს, რომ მამუკა ხაზარაძე ყოველთვის არასწორ მხარესაა. მიშა ხაზარაძეს ახსენებს, გეპეიში სწავლის დროს კოსტავას კოსტიუმი რომ შემოახია.***

— რეალურად მელია ამ გუნდით, შეიძლება, „ლელოს“ შეუერთდეს ან თავისი პარტია გააკეთოს. ეს ხალხი მიშას ემიჯნება. რატომღაც მათ ჰგონიათ, რომ ის ნახევარი მილიონი ადამიანი მათი ამომრჩეველია. ვთქვათ, დადგა ის უბედური დღე და მიხეილ სააკაშვილმა თქვა, აგერ ჭკუა გადამიტრიალდა და მამუკა ტუსკაძე მომწონს, ვტოვებ ნაცმოძრაობას და მამუკა ტუსკაძის პოლიტიკურ მოძრაობას ვუერთდები, ხმა მიეცით მამუკა ტუსკაძის პოლიტიკურ მოძრაობას „სოციალური სამართლიანობისთვისო“. იცით, ნახევარ მილიონ ხმას რომ ჩემი პარტია მიიღებს? ერთი ხმაც კი არ დაიკარგება.

ანუ ეს არის მიხეილ სააკაშვილის ხმები. ნიკა მელია აშკარად ლიბერალი ლიდერია. თუ ოდესმე ეღირსება ხელისუფლებაში მოსვლა, ნიკა მელია არ შექმნის ტოტალიტარულ რეჟიმს, სააკაშვილისაგან განსხვავებით. როგორც ჩანს, მათი პოლიტიკური ანალიტიკოსები სწორ ანალიზს ვერ აკეთებენ.

***— ე.ი. სააკაშვილის ჩამოსვლა და პატიმრობა ნაცმოძრაობის დაშლას იწვევს?***

— დიახ, ნოემბერში ჩატარდება ნაცმოძრაობის ყრილობა და სააკაშვილს ნაცმოძრაობის თავმჯდომარედ აირჩევენ.

***— რა გავლენას მოახდენს ეს ცვლილება ქართულ პოლიტიკაზე?***

— ნახევარი მილიონი ადამიანი, თუ მიშა ცოცხალი იქნება, ნებისმიერ არჩევნებზე ხმას მისცემს. ჩვენთან არჩევნების მოგებასა და ხელისუფლებაში მოსვლას 1 მილიონი ადამიანი სჭირდება. ერთ მილიონ ხმას მიხეილ სააკაშვილი და მისი ტოტალიტარული მმართველობა კიდევ ერთხელ ვერ მიიღებს. სააკაშვილი საქართველოში მილიონ ხმას ვერასოდეს დააგროვებს. ამიტომ აქვთ აქცენტი კოალიციურ მმართველობაზე, მაგრამ კოალიციაც არ გამოვა. ნიკა მელიამ წარმოდგენილი ჩრდილოვანი მთავრობით ის ნახევარი მილიონის ხმაც დაკარგა.

***— სააკაშვილის ციხეები გაქვთ გამოვლილი. სააკაშვილის პირადმა ექიმმა თქვა, გარკვეული დაავადება აქვსო, ვილაცები წერენ, შიმშილობის გამო უეცარი სიკვდილი შეიძლება დაფიქსირდესო.***

— ეს ხომ მშრალი შიმშილობა არ არის. მეც ვშიმშილობდი. საერთაშორისო ორგანიზაციებს დადგენილი აქვთ სტანდარტი და იმ სტანდარტით ვშიმშილობდი მე და შიმშილობს სააკაშვილიც. შეგიძლია მიიღო ჩაი და წყალი. მშრალ შიმშილობაზე ვერ ძლებ ადამიანი 40 დღეზე მეტს.

***— თაფლი?***

— მით უმეტეს, სააკაშვილი თაფლსაც ილებდა. პირველ პერიოდში მაინც ხომ მიიღო თაფლი, ამიტომ ისე იშიმშილებს 30 დღე, რომ არანაირი პრობლემა არ ექნება. 30-ე დღეს მშვენივრად ითამაშა „რეშკა“, ანუ ჟესტიკულაციით ანიშნა, რომელ ფანჯარასთან იყო.

სააკაშვილის გულაგებში მსგავსი რაღაცების გაკეთებისთვის რამდენიმედღიანი ცემა-ტყეპა იყო, მერე კარცერში სვამდნენ. გარდა ამისა, ვინც მოგაკითხავდა გლდანის ციხესთან და ვისაც აჩვენებდი, რომ ცოცხალი და ჯანმრთელი ხარ, იმ ადამიანებს პოულობდნენ (ძირითადად ისინი ოჯახის წევრები იყვნენ) და საშინელ მდგომარეობაში აგდებდნენ, ყველანაირად ცდილობდნენ, დაეშანტაჟებინათ.

მიხეილ სააკაშვილი დღეს დემოკრატიულ ციხეში ზის და ცოტა ხანი უნდა იჯდეს. 28 ოქტომბერს ჩვენც ვგეგმავთ აქციას. საინტერესო პერფორმანსი იქნება მიშა სააკაშვილისთვის.

# „ხელისუფლება სამეგრელოში სადამსჯელო ოპერაციის ჩატარებას აპირებდა“

## დავით ქაცარავა: „ჩვენი ვალი იყო, იქ ვყოფილიყავით“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს „ძალა ერთობაშიას“ ლიდერი დავით ქაცარავა პასუხობს.**

***— ბატონო დავით, როგორც ჩვენთვის ცნობილია, გასულ შაბათ-კვირას ზუგდიდში იმყოფებოდით. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოში სპეცრაზმი შეიყვანა. რა ხდება, რა ინფორმაციებს ფლობთ?***

— დიახ, ჩვენ გასული ორი დღე ზუგდიდში გავატარეთ, ვიყავით ოკუპაციის ხაზთან, შევხვდით მოსახლეობას. ოკუპაციის ხაზთან მცხოვრებლებს ისეთივე პრობლემები აქვთ, როგორიც სამაჩაბლოში, შიდა ქართლში მცხოვრებ მოსახლეობას. პირდაპირი შემხებლობა აქვთ ოკუპაციის ხაზთან, ოკუპანტებთან და სრულიად უყურადღებოდ არიან მიტოვებულნი. რაც შეეხება ორი დღის წინ განვითარებულ მოვლენებს, სამეგრელოსკენ დაიძრნენ შსს-ს დანაყოფები და სპეცრაზმი. ჩვენ მაშინვე წამოვედით აქ, რათა დაგვეფიქსირებინა ჩვენი სამოქალაქო პოზიცია. აქ ხელისუფლება აპირებდა სადამსჯელო ოპერაციის ჩატარებას და ჩვენი ვალი იყო, იქ ვყოფილიყავით.

***— სიმშვიდეა ზუგდიდში?***

— აქ უკვე სტაბილური სიტუაციაა, სიმშვიდეა, ისეთი არაფერი ხდება, მაგრამ ეს განაპირობა ხალხის რეაქციამ, მათმა პასუხმა ხელისუფლების ამ მოქმედებაზე. თუმცა მოსახლეობაში შიში მაინც გაჩენილია.

***— ეს ყველაფერი არჩევნებს უკავშირდება?***

— დიახ, ეს არის წინასაარჩევნო დაშინება, ყოველ შემთხვევაში, მცდელობა, რომ ხალხი დააშინონ, გაუგზავნონ გზავნილი, რომ დასჯიან ნებისმიერ ურჩ ადამიანს. ეს შიში მოსახლეობაში მკაფიოდ იგრძნობოდა, თუმცა, საბედნიეროდ, ხელისუფლება შეაშინა ხალხის რეაქციამ. ჩვენ მსგავსი საშიშროების გაჩენის შემთხვევაში აუცილებლად დავბრუნდებით ზუგდიდში.



***— ოპოზიციისგან პროვოკაციებს ხომ არ ელის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოში და ამიტომ ხომ არ გააქტიურდა?***

— მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლება თვითონ აწყობს პროვოკაციებს. ეს ხელისუფლება არის პრორუსული ძალა, რომელიც იმართება კრემლიდან, რაც საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის ნათელია. ხელისუფლების ნებისმიერი ტიპის ასეთი ნარატივი მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ იმაზე, რომ ხელისუფლება გადასულია საგანგებო რეჟიმზე, სადაც ის კადრულობს ყველაფერს, მათ შორის პროვოკაციას, მათ შორის, მზად არის, ჩაატაროს ეგზეკუციები სხვადასხვა რეგიონში, განსაკუთრებით კი — სამეგრელოში, სადაც ხედავს, რომ ფაქტობრივად წაგებული აქვს არჩევნები.

***— ანუ ხელისუფლება ფიქრობს, რომ შესაძლოა მეორე ტურში დამარცხდეს და ამისთვის ემზადება?***

— ბუნებრივია, ხელისუფლება აცნობიერებს, რომ, ძალიან დიდი ალბათობით, მეორე ტურში სამეგრელოში წააგებს, სწორედ ამიტომ გადადის ასეთ მოქმედებებზე, ამ ტიპის დაშინების მეთოდებზე, რომელიც ნაცადი აქვს და ყოველ შემდეგ ჯერზე მეტი დახვეწილობითა და სისასტიკით იყენებს. ასე რომ, ეს არის ერთმნიშვნელოვნად მზადება ხელისუფლების მხრიდან არჩევნებისთვის. ვეღარ ატყუებს მოსახლეობას დაპირებებით, რომლებსაც უხვად გასცემს და შემდეგ აღარ ასრულებს. ამიტომ ერთადერთი გზა დარჩა — დაშინება, შანტაჟი და მოსყიდვა. ასეთი ბინძური მეთოდებით იბრძვის, რადგან სხვა გზა აღარ აქვს.

***— რა მოლოდინი გაქვთ მეორე ტურის წინ?***

— დიდი იმედი მაქვს, რომ ოპოზიცია და ოპოზიციური ერთობა გაიმარჯვებს. სწორედ ასეთი განწყობაა მოსახლეობაში. ყველა ძალიან დაიღალა ამ ხელისუფლებით, ყველას უნდა ცვლილება და ოპოზიციური ერთობის გამარჯვება.

***— თუკი ასეთი მობილიზება აქვს გამოცხადებული ხელისუფლებას, რამდენად დაუშვებს ოპოზიციის გამარჯვებას?***

— ეს არის ბრძოლა. ხელისუფლება, თავის მხრივ, ყველაფერს აკეთებს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდებით გაიმარჯვოს, აქეთ მხრიდან კი ხალხის ნებაა. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ საბოლოო ჯამში ხალხის ნება გაიმარჯვებს. არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ხელისუფლება ჩვეული მეთოდებით გააყალბებს არჩევნებს, მათგან ყველაფერია მოსალოდნელი. მოსახლეობამ კი, თავის მხრივ, ყველაფერი უნდა გააკეთოს და იბრძოლოს თავისი ხმების დასაცავად.



# ნიკა გვარამია: „ციხეში მოაწყობენ ბუნტს და სააკაშვილს მოკლავენ“

— ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც მიხეილ სააკაშვილის ციხის საავადმყოფოში გადაყვანა დაუშვებელია, უსაფრთხოებაა.

ამის შესახებ საგანგებო განცხადება გუშინ, 24 ოქტომბერს, მისმა ადვოკატებმა გააკეთეს. ნიკა გვარამია იმ საფრთხეებზე საუბრობს, რომელთა შესახებაც ინფორმაცია მესამე პრეზიდენტის უფლებადამცველებს აქვთ:

— ჩვენი ინფორმაციით, ციხის საავადმყოფოში გადაყვანა იქნება პირდაპირ უსაფრთხოების პრობლემების შემცველი და ეს პრობლემები იქნება იმიტირებული ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლების მიერ.

იქნება ე.წ. იმიტირებული ბუნტი, რომელიც დასრულდება მიხეილ სააკაშვილის ლიკვიდაციით, ასეთი ინფორმაცია გვაქვს ჩვენ, — განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მისი ინფორმაციით, ციხის საავადმყოფოში უკვე „შეყვანილია რამდენიმე სპეცდანიშნულების პატიმარი, რომლებიც ამაზე იზრუნებენ“.

ნიკა გვარამია მიმართავს სახალხო დამცველს, პროცესში ჩაერთოს და მესამე პრეზიდენტის კლინიკაში გადაყვანის საქმეს მონიტორინგი გაუწიოს.

აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია ნიკა გვარამიას გაესაუბრება.

სამინისტროს ინფორმაციით, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის აღმოსავლეთის საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებელი გვარამიას დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით დღეს, 25 ოქტომბერს, გაესაუბრება.

# ნიკო კვარაცხელიას მკვლელობის შემდეგ გიორგი კავილაძემ ბუსა ჟვანიას დაურეკა

## მკვლელობის ახალი დეტალები

„შაბათის ეთერმა“ ბოლო დროის ყველაზე გახმაურებული მკვლელობის საქმის ახალი ფაილები მოიპოვა. ნიკო კვარაცხელიას სასტიკი მკვლელობის ხუთტომიან საქმეში ახალი ფიგურანტი ჩნდება – საქართველოს ყოფილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას შვილი, ბუსა ჟვანია.

ბუსა ჟვანიას მკვლელობაში ბრალდებულებთან ძალიან ახლო კავშირის ჰქონდათ. ის იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც ნიკოს მკვლელობიდან 15 წუთის შემდეგ, ბრალდებულებმა დაურეკეს და სათქმელი მინიშნებებით უთხრეს.

შოთაძის უწყების ოქროს მოწმე თბილისელი ტაქსის მძღოლი, 65 წლის ვლადიმერ არუთინოვია.

15 სექტემბერს, დღის 16:30 საათზე არუთინოვი ორმა ახალგაზრდამ ვახუშტის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე გააჩერა და გურამიშვილის გამზირის მიმართულებით წასვლა სთხოვა. ისინი ნიკო კვარაცხელიას მკვლელობაში ბრალდებულები აკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე იყვნენ.

მისი თქმით, ორივე ახალგაზრდა უკიდურესად აღელვებული იყო. მათ ტაქსის მძღოლს ელიავას ბაზრობიდან სანზონაში გადაყვანა სთხოვეს. თან ჰქონდათ შავი ჩანთა. ორივე უკანა სავარძელზე იჯდა და ერთმანეთთან დაძაბული საუბარი ჰქონდა.

კავილაძემ და ჭელიძემ ტაქსის მძღოლს მობილური ტელეფონი სთხოვეს. ზარი ტაქსიდან ბუსა ჟვანიას ნომერზე განხორციელდა.

– მე ჩემ უკან მჯდომმა გამომართვა ტელეფონი. მთხოვა, რომ დარეკავდა და დამიბრუნებდა. ვიღაცას ელაპარაკებოდა და უთხრა „ბუსა, რომ იცოდე, კუს ტბაზე არ ახვიდე, ფრთხილად იყავი, ძაღლები არიან“, – უთხრა გამოძიებას ვლადიმერ არუთინოვმა 16 სექტემბერს 00:55 საათზე.

თაბუკაშვილის პოლიციის განყოფილებაში ოქროს მოწმის ტელეფონიდან გამავალი ზარებიც ამოიღეს და გადაამოწმეს. დადასტურდა, რომ ნომერი, სადაც ნიკოს მკვლელობიდან რამდენიმე წუთში გიორგი კავილაძემ დარეკა, ბუსა ჟვანიას მფლობელობაშია.

მიუხედავად ამისა, ბუსა ჟვანია პოლიციას ამ დრომდე არ გამოუკითხავს.

ნიკოს მკვლელობამდე რამდენიმე კვირით ადრე აკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე სომხეთში კანონიერ ქურდ დავით კაკულიას შვილებთან შესახვედრად იმყოფებოდნენ. მათ საკუთარი ავტომობილი ბუსა ჟვანიამ გადასცა და თბილისიდან ერევანში სწორედ ჟვანიას იაგუარით იმგზავრეს. ამ ჩვენებას გამოძიებას ბუსას მეგობარი მაქსიმე რამიშვილი აძლევს.



პოლიციას ხელთ აქვს საზღვრის კვეთის დამადასტურებელი მონაცემები, რომლებითაც დგინდება, რომ სომხეთში კავილაძე და ჭელიძე ნამდვილად ჟვანიას მანქანით იყვნენ, თუმცა გომელაურის უწყებას ის ამჯერადაც არ დაუბარებია.

ზურაბ ჟვანიას ვაჟმა ნიკოს მკვლელობიდან ერთ კვირაში საქართველო დატოვა და გერმანიაში გაემგზავრა, ამის შემდეგ ბუსა ჟვანია საქართველოში აღარ დაბრუნებულა.

ამ დრომდე მკვლელობის სავარაუდო დამკვეთებისთვის ბრალი არავის წარუდგენია. არადა, პროკურატურას ნიკოს მკვლელობიდან სამ დღეში დავით კაკულიას შვილების, დათი და გუგუნა კაკულიების, წინააღმდეგ შესახებ არაერთი ჩვენება ჰქონდათ.

გამოძიებასთან ითანამშრომლა მაქსიმე რამიშვილმა.

„2021 წლის 17 აგვისტოს მე უნდა წავსულიყავი ერევანში ჩემს სამსახურებრივ საქმეზე, მეორე მიზეზიც ჰქონდა სომხეთში გამგზავრებას – მე დიდი ხნის უნახავი მეგობრები გუგა და დავით კაკულიები უნდა მენახა. ეს ამბავი რომ გაიგო, გიორგი კავილაძემ მთხოვა, რომ სომხეთში აკო ჭელიძე გამომყვებოდა, ვინაიდან ის უნდა დახმარებოდა ძმებ კაკულიებს სომხეთში საცხოვრებელი ადგილის შეცვლაში.

მე აღნიშნულზე დავთანხმდი და წავედით სომხეთის მიმართულებით, ჩემი მეგობრის არჩილ აბრამიშვილის ავტომობილით. ჩავედით ერევანში, სადაც ძმებ კაკულიებს შევხვდით. წავიყვანეთ ისინი ახლა საცხოვრებელ მისამართზე და ჩემი პასპორტის გამოყენებით ვუქირავეთ ახალი ბინა. ბინის ფული კაკულიებმა მომცეს და მეპატრონეს გადავუხადე. პარალელურად სამსახურებრივ შეხვედრებზე დავდიოდი და ამ პერიოდში მე ძმებ კაკულიებთან და აკო ჭელიძესთან ერთად ვცხოვრობდი“, – ნათქვამია ჩვენებაში.

მკვლელობაში ბრალდებულები ძმებმა კაკულიებმა სომხეთში 27 აგვისტოსაც დაიბარეს, სადაც სავარაუდოდ, ნიკო კვარაცხელიას მკვლელობა საბოლოოდ გადაწყდა.

ნიკოს მკვლელობაში ბრალდებულები პოლიციამ 19 დღის შემდეგ, წყნეთში ძმებ კაკულიების დედის სახლიდან რამდენიმე მეტრში მდებარე სახლში დააკავეს. ოთახებში ჩხრეკაზე შესულმა პოლიციამ სახლში ვერაფერი იპოვა.

გამოძიებისთვის საინტერესო აღმოჩნდა ჩანთა, რომელიც დაკავების ოპერაციის დროს გაქცევისას, სავარაუდოდ, ეზოში ერთ-ერთ ბრალდებულს დაუვარდა. ჩხრეკისას პოლიციამ შავ ჩანთაში სახარება, პირადი ნივთები და დოსტოევსკის „მოთამაშე“ აღმოაჩინა.

**ბუსა ჟვანიას საკითხზე „ამბები“ გოგლა ჟვანიას დაუკავშირდა:**

– ბუსა დაახლოებით ერთი თვეა, საზღვარგარეთაა წასული, მაგისტრატურაში აპირებს სწავლის გაგ-რძელებას. ჭორებზე კომენტარის გაკეთება ძალიან არასერიოზული მგონია. ამ ინფორმაციას ვინც ავრცელებს, მათ თქვან, რა, საიდან, როგორ და ვინ ვის დაუკავშირდა. არც ჩემთან, არც ნინოსთან და ბუსასთან არავინ მოსულა, მცდელობაც არ ჰქონიათ დაკავშირების და არც კითხვები დაუსვამთ. ეს აგორებული უაზრო თემა მგონია.

***– თუ იცით, იცნობდა ბუსა აკო ჭელიძესა და გიორგი კავილაძეს?***

– არ ვიცი, ჩემთვის უცხო გვარებია, არაფერს მეუბნება. მე ნინოსაც ვესაუბრე, ბუსას დედას, თვითონაც გაოგნებულები არიან... ნინო ბუსასთან ერთად წავიდა გერმანიაში, ახლა ზუსტად არ ვიცი, სად არიან, სხვადასხვა ქვეყანაში უნდა ეცადა ჩაბარება. ჩამოვა ნინო და ამ ბრალდებაზე ყველას პასუხს გასცემს.

# „ფეხებში მე და ზურა ვწვდით, ოხანაშვილი და ქარელა — ხელებში.... მტკვარში შევაცურეთ“

## როგორ მოკლეს თომას კენედი გორში

„ნოდარ მელაძის შაბათმა“ ბრიტანელი მუსიკოსის სასტიკი მკვლელობის ახალი დეტალები გაარკვია – უმძიმესი დანაშაულის ბრალდებით დაკავებულები პოლიციის განყოფილებაში აღიარებენ, როგორ დაგეგმეს 28 წლის თომას კენედის ჯგუფური ძარცვა, როგორ გაუსწორდნენ ფიზიკურად და როგორ ჩააგდეს მდინარეში ბიჭი, რომელიც ქუჩის მუსიკოსებთან მათი სიმღერის მოსასმენად ჩავიდა და პატივისცემის ნიშნად ლუდზე დაპატიჟა.

ხუთივე ბრალდებული გამომძიებლებს წუთების სიზუსტით აღუწერს, როგორ დაგეგმეს ბრიტანელი ტურისტის ძარცვა. ირკვევა, რომ ფულის წართმევის იდეა კაფეში გაუჩნდათ, სადაც აღმოაჩინეს, რომ თომასს ფული ჰქონდა.

ალკოჰოლის მიღების შემდეგ ახალგაზრდებმა, უცხოელ ტურისტს ქალაქის დათვალიერება ფეხით შესთავაზეს, გზად მაღაზიაში ისევ ლუდი იყიდეს და ქუჩის ხუთმა მუსიკოსმა ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტურისტი ბნელ ჩიხში შეიტყუა.

– დავგეგმეთ, რომ კენედისთვის ფული წაგვერთვა, ეს მე, გიორგი ოხანაშვილმა, ზურა ფალავანდიშვილმა და გიორგი ქარელმა მოვიფიქრეთ, – ამბობს ერთ-ერთი ბრალდებული.



დაკავებულები ყვებიან, როგორ წაიყვანეს ახალგაზრდა კაცი რკინიგზის სადგურთან და როგორ ცემეს თომას კენედი:

– ხელი დავარტყი ერთხელ ყბის არეში. წაბარბაცდა, წაიქცა, კარტა გადმოუვარდა. გაქცევა ცადა. ეს სამი ვინც იყვნენ, დაეწივნენ და სცემეს,... კაროჩე გვეგონა, მოკვდა-თქო, კონტაქტზე არ იყო, – წერს ბრალდებული.

მკვლელობის შემდეგ 4-მა მუსიკოსმა თომას კენედის თავიდან მოშორება გადაწყვიტა.

– ფეხებში მე და ზურა ვწვდით, ოხანაშვილი და ქარელა – ხელებში. მტკვართან 20-25 მეტრის დაშორებით ვიყავით. წყალში გავუშვით, შევაცურეთ ჩვენ ოთხმა. წყალმა ერთი 10 მეტრი წაიღო და მეტი არ დაგვინახავს, ხეები ეფარებოდა, – ამბობს ბრალდებული.

ამის შემდეგ 4-კაციანმა ჯგუფმა დაიწყო დაგეგმვა, თუ როგორ უნდა დაეხარჯათ ფული, რომელიც თომას კენედის საკრედიტო ბარათზე იყო. იმის გამო, რომ ბარათის კოდი არ იცოდნენ, გორში ფაქტობრივად ყველა მაღაზია მოიარეს, იყიდეს ძეხვი, სოსისი, პური, სიგარეტები, შოკოლადი:

– სიგარეტები და საჭმელი ვიყიდე მაღაზიებში, სიგარეტები გამოვიტანეთ. თითქმის ყველა მაღაზიაში ვიყავით, – აცხადებს ბრალდებული.

როცა კენედის ბარათიდან გორელი ახალგაზრდები თანხას სხვადასხვა მაღაზიაში ხარჯავდნენ, გზად ვასილ ოქროპირიძე შეხვდათ.

ქუჩის მუსიკოსი ოქროპირიძე საბედისწერო ღამეს ჯგუფს იმის გამო ჩამოშორდა, რომ მას ბრიტანეთის მოქალაქის გაძარცვის იდეა არ მოსწონდა. მეგობრებმა ოქროპირიძეს ყველაფერი გაუმხილეს, როგორ გაძარცვეს, სცემეს და შემდეგ როგორ მოიშორეს ცხედარი მტკვარში.

მძიმე დანაშაულის შემდეგ ახალგაზრდების ნაწილი ვასილ ოქროპირიძის სახლში, სოფელი სკრის დევნილთა დასახლებაში წავიდა.

მეორე დღეს თომას კენედის ტელეფონი ჭავჭავაძის 37 ნომერში ლომბარდში მიიტანეს და 380 ლარად ჩააბარეს, მიღებული თანხა კი 4 ნაწილად გაიყო. თითო ბრალდებულს მოკლული ბრიტანელის ტელეფონიდან 80/80 ლარი შეხვდა. 20 ლარი მეხუთე ქუჩის მუსიკოს ოქროპირიძეს მისცეს, რომელსაც ცემასა და მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღია.

# ბათუმში მკვლელობისთვის 1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1988 წელს დაბადებული გ.დ. განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს, მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, ნაცნობს – 1977 წელს დაბადებულ ე.ჯ.-ს ქალაქ ბათუმში, ჯაყელის ქუჩაზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანიდან მალევე გარდაიცვალა.

პოლიციამ ბრალდებული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში დააკავა.

სამართალდამცველებმა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს დანაშაულის ჩადენის იარაღი – ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი. ასევე, ამოღებულია გ.დ.-ის მფლობელობაში არსებული ავტომობილი, რომლითაც ბრალდებულმა შემთხვევის ადგილი დატოვა.

განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დაკავებულ პირს საქართველოს პროკურატურამ ბრალდება განზრახ მკვლელობის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა– ტარების მუხლებით წარუდგინა.

# თბილისში მოზარდმა 5.000 ლარის ტექნიკა მოიპარა

თბილისში, ბარათაშვილის ქუჩაზე, ტექნიკის მაღაზია გაძარცვეს. დანაშაული, სავარაუდოდ, არასრულწლოვანმა ჩაიდინა.

წაღებულია დაახლოებით 5 ათასი ლარის ტექნიკა.

შსს-ში ადასტურებენ, რომ ფაქტზე დაკავებულია ერთი პირი.

# 50 ცალი ყალბი 100–დოლარიანის გასაღებისთვის 1 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, გაასაღა 5.000 აშშ დოლარის ოდენობის 50 ერთეული ყალბი 100 აშშ დოლარიანი კუპიურა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით.

# დიდ დიღომში მუშა მშენებარე კორპუსის შახტში ჩავარდა

22 ოქტომბერს დიდ დიღომში მდებარე ერთ-ერთი მშენებარე კორპუსში მუშა შახტში ჩავარდა.

მუშა მე-8 სართულზე იყო, როდესაც ეს ინციდენტი მოხდა

ლიფტის შახტში ჩავარდნილი მუშის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია – 20 წლის მამაკაცი ღუდუშაურის კლინიკაში მოათავსეს. ექიმების თქმით, ის კლინიკაში მრავლობითი დაზიანებებით შეიყვანეს, თუმცა ქირურგიულ ჩარევას არ საჭიროებს და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

კომპანიის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი მომხდარის შესახებ განმარტავს, რომ სამშენებლო ობიექტზე უსაფრთხოების ნორმები სრულად იყო დაცული.

– არანაირი უსაფრთხოების ნორმების დარღვევა არ ყოფილა ჩვენთან. უბრალოდ, ლამინატის ქვეშ კოჭი ყოფილა დაზიანებული, როგორც ჩანს და ჩაუტყდა. მუშა კარგად არის, არანაირი პრობლემა არ აქვს, ყველაფერი წესრიგში აქვს, – ამბობს უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.

შემთხვევა სამშენებლო კომპანია „გალაქსი კონტრაქშენის“ სამშენებლო ობიექტზე მოხდა. ფაქტზე დაწყებულია გამოძიება.

# მამინაცვალს, რომელიც გერს 3 წელი აუპატიურებდა, 18 წელი მიესაჯა

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და 14 წელს მიუღწევლის მიმართ განხორციელებული გაუპატიურებისა და ძალადობის ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

„ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლიდან 2020 წლამდე, ბრალდებული 14 წელს მიუღწეველ გერთან სისტემატურად, ძალადობით სქესობრივ კავშირს ამყარებდა. ასევე, დაზარალებულის მიმართ ძალადობა განახორციელა.

ბრალდებულს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11’ 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და 126’ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარედგინა ბრალდება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 18 წლის თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# გლდანში, ხიზანიშვილზე, საწყობი დაიწვა

23 ოქტომბერს გლდანში, ხიზანიშვილის ქუჩაზე მდებარე სასაწყობო შენობაში ხანძარი გაჩნდა. ადგილზე სახანძრო-სამაშველო ჯგუფები მუშაობდნენ.

ხანძრის ლიკვიდირება დროულად მოხერხდა.

## ერდოღანმა 10 ქვეყნის ელჩების თურქეთიდან გაძევება გადაწყვიტა

თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის განცხადებით, მან საგარეო საქმეთა მინისტრს დავალება მისცა, რაც შეიძლება სწრაფად გამოაცხადოს „პერსონა ნონ გრატად" იმ 10 ქვეყნის ელჩები, რომლებმაც თურქი აქტივისტის ოსმან კავალას გათავისუფლება მოითხოვეს.



ალნიშნულ ელჩებს შორის თურქეთში აშშ-ის, საფრანგეთისა და გერმანიის მისიების ხელმძღვანელებიც არიან. ინფორმაციას თურქული მედია ავრცელებს.

– ჩვენს საგარეო საქმეთა მინისტრს მივეცი საჭირო განკარგულება და განვაცხადე, რა უნდა გაკეთდეს: ეს 10 ელჩი დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს „პერსონა ნონ გრატად". ისინი შეიცნობენ თურქეთს, – აღნიშნა ერდოღანმა.

10 ქვეყნის ელჩებმა რამდენიმე დღის წინ გააკეთეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც ისინი ბიზნესმენისა და ფილანტროპის ოსმან კავალას დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვდნენ.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან განმარტებებს ელოდებიან.

– ჩვენ ვიცით ამ ცნობების შესახებ და ველით სიცხადეს თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან, – აღნიშნა წარმომადგენელმა. ბიზნესმენი ოსმან კავალა თურქეთში 4 წლის წინ დააკავეს. მას თავდაპირველად ბრალად ედებოდა 2013 წლის გეზის პარკის გამო გამართულ პროტესტთან და შემდგომ არეულობებთან კავშირი. გასულ წელს მას 2013 წლის მოვლენებთან დაკავშირებული ბრალდებები მოუხსნეს, თუმცა წელს ეს გადაწყვეტილება გაუქმდა და დაკავებულის წინააღმდეგ დაემატა ახალი საქმე, რომელიც 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას უკავშირდება.

## უკრაინამ აშშ-ისგან სამხედრო დახმარების კიდევ ერთი პარტია მიიღო

უკრაინამ აშშ-ისგან სამხედრო დახმარების კიდევ ერთი პარტია მიიღო.



ამერიკელებმა უკრაინელებს გადასცეს მაღალი სიზუსტის იარაღი, ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები და ა.შ.

– ჩვენ გვინდა, რომ უკრაინა მშვიდობიანი, დემოკრატიული ქვეყანა იყოს, – განაცხადა აშშ-ის სამხედრო ატაშემ უკრაინაში, პოლკოვნიკმა სტიუარდმა.

რუსეთის მუქარების ფონე აშშ უკრაინას სამხედრო დახმარებას უზრდის.

## კოლუმბიაში ნარკობარონი დარიო ანტონიო უსუგა დააკავეს

კოლუმბიის პოლიციამ 21-ე საუკუნის „პაბლო ესკობარად" წოდებული ნარკობარონი დააკავა.

ნარკორეალიზატორი დარიო ანტონიო უსუგა კოლუმბიის მთებში, მის საკუთრებაში არსებულ სამალავში დააკავეს.



სამალავს ნარკორეალიზატორის ჯგუფი ნარკოტიკების დასამზადებლად იყენებდა.

კოლუმბიის მთავრობამ რამდენიმე წლის წინ დარიო ანტონიო უსუგას ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციისთვის 800.000-დოლარიანი ჯილდო დააწესა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კი – 5 მილიონი.

სპეცოპერაციის დეტალები უცნობია. ადგილობრივი მედია წერს, რომ დაკავების დროს ერთი სამართალდამცველი დაიღუპა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

### კალეიდოსკოპი




## ქალმა ჩინოსნების მოსაწამლი სასმელი დალია და გონება დაკარგა

კენიის ქალაქ მომბასაში პოლიციამ დააპატიმრა ქალი, რომელსაც კლოფელინით ჩინოსნების მოწამვლა სურდა, მაგრამ შემთხვევით მათთან ერთად დალია და გონება დაკარგა.

პოლიციაში განაცხადეს, რომ კისუმუს ოლქის ტერიტორიული დაგეგმარების დეპარტამენტის სამი მაღალი თანამდებობის პირი სასტუმროში იყო დაბინავებული და რესტორანში სადილობდა. მათთან რამდენიმე ქალი მივიდა.

– მათით მოხიბლულმა მამაკაცებმა მაგიდასთან დაჯდომა შესთავაზეს. მათ არ იცოდნენ, რომ ეპატიჟებოდნენ მგლების ხროვას, რომელთა მიზანს წარმოადგენდა ისეთი ნადავლის ხელში ჩაგდება, რომელსაც ადვილად გაძარცვავდნენ და არა მათთან გართობა, – განაცხადა პოლიციის წარმომადგენელმა.

დაახლოებით ღამის სამ საათზე მამაკაცები საკუთარ ნომრებში ქალების თანხლებით ავიდნენ, თან გაიყოლეს სასმელები, რომლებშიც ქალებმა კლოფელინი გაურიეს. მეორე დილით კოლეგებმა ისინი უგონო მდგომარეობაში აღმოაჩინეს. მათთან ერთად იმყოფებოდა ქალი, 31 წლის ლეია მვენჯა, რომელმაც მათი მოწამვლა ცადა და თავადაც მოიწამლა. მისი თანამზრახველები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ და თან გაიყოლეს ჩინოსნების მობილური ტელეფონები და სხვა ღირებული ნივთები.

ყველა დაშავებული საავადმყოფოში იმყოფება. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას ექიმები სტაბილურად აფასებენ.

## გამყიდველი ქალს საქონლის შერჩევაში დაეხმარა და გაამილიონერა




ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ ფლინტის მცხოვრებს მაღაზიის გამყიდველი დაეხმარა საჭირო საქონლის შერჩევაში და მილიონერად აქცია.

47 წლის ქალის თქმით, შესვენების დროს მაღაზიაში შევიდა და გადაწყვიტა, რამდენიმე მომენტალური ლატარიის ბილეთიც შეეძინა, მაგრამ არჩევანს ვერაფრით აკეთებდა.

– გამყიდველს ვთხოვე დახმარება და მან შემირჩია ლატარიის ბილეთები, – განმარტა ქალმა. შესვენებიდან სამსახურში დაბრუნებამდე\ მან ბილეთებზე დამცავი ფენა გადაფხიკა და შეიტყო, რომ მილიონი დოლარის მფლობელი გახდა.

თავდაპირველად ქალმა ჩათვალა, რომ ბილეთზე გაკეთებული წარწერა არასწორად წაიკითხა.

– ასეთ წარმატებას ვერაფრით ვიჯერებდი, – განმარტა ამერიკელმა, რომელსაც წარმატება 10-დოლარიანმა ბილეთმა მოუტანა.

ქალის გადაწყვეტილებით, მოგებული თანხის ნაწილით ის ოჯახურ დასვენებას მოიწყობს, ხოლო დანარჩენ თანხას სამომავლოდ გადადებს.

## მამაკაცი ნახევარი წელი გადაყლაპული ტელეფონით დადიოდა



ეგვიპტის ქალაქ ასუანში ექიმებმა მამაკაცის კუჭიდან ღილაკებიანი მობილური ტელეფონი ამოიღეს.

მამაკაცმა ასუანის უნივერსიტეტის საავადმყოფოს ექიმებს მუცლის არეში ტკივილების ჩივილით მიმართა. კომპლექსური გამოკვლევის დროს მამაკაცი რენტგენზე გააშუქეს, რომელმაც აჩვენა, რომ მას კუჭში მთლიანი მობილური ტელეფონი ეგდო.

პაციენტმა ექიმებთან საუბარში აღიარა, რომ ტელეფონი ნახევარი წლის წინ გადაყლაპა და ექიმებისთვის დახმარების თხოვნის რცხვენოდა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ტკივილები აწუხებდა. მას იმედი ჰქონდა, რომ ტელეფონი ორგანიზმიდან ბუნებრივი გზით გამოვიდოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. უცხო სხეული მიღებულ საკვებს ნორმალურად გადამუშავებასა და გამოყოფაში ხელს უშლიდა, ეს კი ტკივილებს იწვევდა.

ეგვიპტელს ოპერაცია გაუკეთდა და კუჭიდან ტელეფონი ამოუღეს. მისი ჯანმრთელობის ამჟამინდელი მდგომარეობა უცნობია, თუმცა ექიმებს მისი სრულად გამოჯანმრთელების იმედი აქვთ. არავინ იცის, რატომ გაუჩნდა მას ტელეფონის გადაყლაპვის სურვილი.

## პაპამ შვილიშვილები საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნა



საბერძნეთის კუნძულ კრიტზე, გუვესის ყურესთან, პაპამ საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა შვილიშვილები, რომლებიც ტალღამ ზღვაში გაიტაცა.

შოტლანდიელი პენსიონერი ექიმი, 61 წლის ჯონათან სმიტი, კრიტზე ოჯახთან ერთად ისვენებდა. ერთ დღეს ის ზღვაზე საცურაოდ მეუღლე სიუზანთან და შვიდი და ათი წლის შვილიშვილებთან ერთად წავიდა. ბიჭებმა მათ, საზოგადოებრივი პლაჟის ნაცვლად, ველურ კლდოვან სანაპიროზე წასვლა შესთავაზეს, რაზეც პაპა-ბებიისგან უარი მიიღეს, თუმცა ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ ამას. როდესაც ბავშვები წყალში მაინც შევიდნენ, ჩქარ დინებაში მოყვნენ, დამოუკიდებლად ამოსვლა ვეღარ მოახერხეს და იხრჩობოდნენ.

ამის დანახვაზე სმიტი წყალში გადაეშვა და ბავშვებს კლდეებისკენ უბიძგა. ყვირილზე თვითმხილველებმა მოირბინეს, სამაშველო რგოლები და თოკები გადაუგდეს და ბიჭები ნაპირზე ამოიყვანეს. მათმა პაპამ წყლიდან ამოსვლა ვეღარ შეძლო. როდესაც დაინახა, რომ მისი ორივე შვილიშვილი გადარჩენილი იყო, არაქათი საბოლოოდ გამოეცალა და წყლის სიღრმეში ჩაიძირა. მაშველ ანტონის ფარასაკისის თქმით, როდესაც მამაკაცამდე მიღწევა შეძლო, მას უკვე სერიოზული დაზიანებები ჰქონდა მიღებული. სამწუხაროდ, სმიტი დაიღუპა.

## დედა სპილომ ნიანგი გასრისა და სპლიყვი გადაარჩინა



ზამბიაში გააფთრებულმა დედა სპილომ გასრისა ნიანგი, რომელიც მის ნაშიერს ძალიან ახლო მანძილზე მიეპარა. ამ შემთხვევის ამსახველი თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეო იუთუბიში იქნა გამოქვეყნებული.

საფარის მონაწილე ჰანს ჰენრიხ ჰაარმა ვიდეოზე გადაიღო, თუ როგორ მოკლა დედა სპილომ ნიანგი სპლიყვის გადასარჩენად.

– ნიანგები სპლიყვებზე ნადირობენ. ამ დედა სპილოს, რა თქმა უნდა, არ გახარებია, როდესაც ნიანგი მის ნაშიერთან ასე ახლოს გამოჩნდა. ამიტომ მის დასაცავად ნიანგს გადაუარა და მოკლა, – ნათქვამია ვიდეორგოლისთვის თანდართულ კომენტარში.

ვიდეოჩანაწერში ჩანს, როგორ ცდილობს სპილო, ხორთუმის დახმარებით მოაშოროს რეპტილია სპლიყვს. თანდათანობით მისი ქცევა სულ უფრო აგრესიული გახდა და მან ნიანგი მთელი თავისი წონით გასრისა, შემდეგ ხორთუმი კუდზე მოხვია და აქეთ-იქით ახეთქებდა. ამ ყოველივეს შედეგად რეპტილია დაიღუპა.

## იაპონიაში მიწისძვრის შემდეგ გემი-მოჩვენებები გამოჩნდნენ



იაპონიის კუნძულ ივოძიმას რაიონში მიწისძვრამ ზღვის ფსკერიდან ამოსწია მეორე მსოფლიო ომის დროს ჩაძირული გემი-მოჩვენებები.

ეს იაპონიის სატრანსპორტო ხომალდებია, რომლებიც ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა კუნძულისთვის ბრძოლის დროს ხელში ჩაიგდეს. ისინი ივოძიმას დასავლეთ ნაწილში გადაიტანეს და ტალღის მჭრელებად იყენებდნენ.

ამ დროისთვის სამოქალაქო პირებისთვის ივოძიმაზე შესვლა აკრძალულია მას შემდეგ, რაც 1968 წელს აშშ-მ კუნძული იაპონიას დაუბრუნა. ამ დროისთვის ის თავდაცვის ძალების სამხედრო ბაზას წარმოადგენს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

### სპორტი

## მამუკელაშვილს მცირედს ათამაშებენ, ბითაძეს — არა



კარგა ხანია, ნბა-ში ორი წარმომადგენელი არ გვყოლია და ეს წელს მოხდა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, 24 ოქტომბრის ღამეს, ორივე მათგანი, გოგა ბითაძე და სანდრო მამუკელაშვილი, მოედანზე გვეხილა, მაგრამ...

ბითაძემ და ინდიანამ სეზონში პირველი გამარჯვება მაიამი ჰითთან იზეიმეს. პეისერსმა ოვერტაიმში 102:91 მოიგო.

თუმცა, ეს ყველაფერი ჩვენებურის გარეშე მოხდა, რადგან ბითაძე სათადარიგოთა სკამზე დარჩა. გამარჯვებულთა რიგებში 18 ქულითა და 14 მოხსნით საუკეთესო მალკოლმ ბრონგდონი იყო, კრის დუარტემ 19 ქულა ჩააგდო, ოშაე ბრისეტს 18 და 9 მოხსნაც ჰქონდა, ხოლო ლიეტუველმა ფორვარდმა დომანტას საბონისმა 17 ქულა და 12 მოხსნა მოაგროვა.

დიდი დრო არც მამუკელაშვილს მისცემია, რომლის მილუოკი ბაქსმა სტუმრად სან ანტონიო სპურსს 121:111 სძლია. ახალგაზრდა ქართველ კალათბურთელს კი ამჯერად მცირე სათამაშო დრო დაეთმო.

მიუხედავად მილუოკელთა წინა ხაზში რამდენიმე წამყვანი კალათბურთელის არყოფნისა, ქართველი მძიმე ფორვარდი მოედანზე 6 წუთით გამოჩნდა. ჩვენებურმა ერთი შეტევა გააცუდა. სულ ეს იყო...

ხვალ ერთმანეთს მამუკელაშვილის მილუოკი ბაქსი და ბითაძის ინდიანა პეისერსი უნდა დაუპირისპირდნენ. ცხადია, მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში ქართულ დერბის ველოდებით, მაგრამ, ბოლო თამაშებიდან გამომდინარე, ამის ალბათობა ნაკლებია.

## ბენზემას ადვოკატები ვალბუენას გაღმა ედავებიან



საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის რეალის თავდამსხმელი ქარიმ ბენზემა 10-თვიანი პატიმრობისა და 75.000 ევროთი დაჯარიმების საშიშროების წინაშე იდგა, მაგრამ მოსამართლემ სხდომა 24 ნოემბრისთვის გადადო. ბენზემას ისევ ძველ ამბავს, მატიე ვალბუენას სექსვიდეოთი შანტაჟს ედავებიან.

სასამართლოში საქმე უკვე 3-ჯერ განიხილეს. ამასობაში ბენზემას ვექილები ვალბუენას გაღმა ედავებიან.

**სილვან კორმიე, ადვოკატი:**

– ვალბუენა საკუთარი თავის მსხვერპლია – მან ხომ საკუთარი სექსი თვითონ გადაიღო. ის ფაქტი, რომ სქესობრივი აქტი იწერებოდა, მისთვის თავიდანვე ცნობილი იყო. აი, მისმა პარტნიორმა გოგონამ კი არ იცოდა, რომ ულებდნენ. ვიდეოს ფარულად გადაღება ადამიანისთვის, როდესაც ის სექსით არის დაკავებული, დანაშაულია. ამ ქალის ინტერესს საერთოდ არავინ იცავს. გამოძიებაც კი არ დაინტერესებულა მისი ბედით.

ამიტომაც არის ცხადი, რომ ბენზემასთვის ბრალის წაყენების პირველივე დღიდან მათ მხოლოდ ფეხბურთის ვარსკვლავის განადგურება აინტერესებდათ და მასმედიაც ამ მიზნით ჩააყენეს საქმის კურსში.

არადა, ბენზემა კორექტული ადამიანია. მას კარიერაში მხოლოდ 3-ჯერ აქვს ყვითელი ბარათი მიღებული. ცხოვრების განმავლობაში ორადორ კლუბში თამაშობდა და დღესაც საფრანგეთის ნაკრების სამსახურშია.

ბენზემა არის ღია პიროვნება, ისეთი, როგორსაც მას ხალხი იცნობს და გაუგებარია, ამ ბიოგრაფიის პატრონს რატომ უნდა მონდომებოდა გამომძალველთა ბანდის წევრობა?

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## განცხადებები

• 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

# შავი ლომი ევროპის სუპერთასის პოტენციური ლიდერია

**ლოკომოტივი (რუსეთი)-შავი ლომი (საქართველო) 11:27**

შავმა ლომმა რაგბი ევროპის სუპერ თასის მე-3 რაუნდში პენზაში ლოკომოტივი 27:11 დაამარცხა და დაგეგმილი პრემიაც აიღო.

ქართული ფრენჩაიზისთვის ეს პირველი გასვლითი თამაში იყო. რუსეთის ჩემპიონატის შარშანდელი ფინალისტი ლოკომოტივ-პენზა წელს ისე მძლავრად ველარ გამოიყურება და ტურნირზეც უკვე მე-3 შეხვედრა დათმო, თანაც ყველა ბონუსით.

რუსული გუნდის ბირთვს ქართველი ლეგიონერები წარმოადგენენ და შავი ლომის წინააღმდეგ ხუთივემ ითამაშა. გიორგი ჭყოიძე, ტარიელ დონაძე, ილია სპანდერაშვილი და ნიკა ცირეკიძე სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ, რევაზ ბროძელი კი შეცვლაზე შევიდა. დავით გურგენაძეა შერკინების მწვრთნელი.

შავმა ლომმა კარგი პირველი ტაიმი ჩაატარა, იყო ლამაზი მომენტები და ლელოები. მე-2 ტაიმში მოედანთან ერთად შეხვედრაც დამძიმდა. იმატა შეცდომებმა, პაუზებმა, ჯაჯგურმა. საბოლოოდ სტუმრებმა ხასიათი გამოავლინეს და მატჩის მიწურულს მე-4, ბონუსის მომტანი ლელოც გაიტანეს.

თამაში ძლიერ ქარში დაიწყო, რომელიც პირველ ტაიმში ზურგს მასპინძლებს უმაგრებდა, მაგრამ ამან ლოკომოტივს ვერ უშველა. საწყისი ერთგვარი „პინგ-პონგის" შემდეგ შეცდომა ლოკომოტივმა დაუშვა და გიორგი ბაბუნაშვილმა ჯარიმიდან ანგარიში გახსნა. გარკვეული დროით მასპინძლები ინიციატივას დაეუფლნენ და გაგვიმართლა, ჭყოიძემ ლელოს ხაზთან დავარდნილი ბურთი რომ ვერ დაიმორჩილა, თორემ ლელო გარდაუვალი იყო. ამ პერიოდში ორჯერ დასარტყმელ პოზიციაში დავჯარიმდით და პენზელები 6:3 დაწინაურდნენ.

მე-16 წუთზე უკვე მასპინძლებმა დაუშვეს შეცდომა – ჯერ რაქიდან გაიტანეს ბურთი ცუდად, მერე ფეხით მოგერიებისას შალვა მამუკაშვილმა დაფარებაზე ითამაშა, რამდენიმე მიძალების შემდეგ კი ლელო დავით გიგაურმა გაიტანა და ბაბუნაშვილმაც გარდასახა. 23-ე წუთზე შავმა ლომმა დაახლოებით 15-მეტრიანი მოლი ააგორა და ის მამუკაშვილის ლელოთი დასრულდა. სტუმრებმა ინიციატივა იგრძნეს და ტაიმის ბოლოს კარგი ხელდახელ შეტევის შემდეგ მე-3 ლელოც გაიტანეს.



40 წუთი უკვე გასული იყო, როდესაც ჩვენს ნახევარზე გადაკიდებული ბურთი 10-მეტრიან წყვეტილთან ავიღეთ და ლაშა ხმალაძემ ხელდახელ კონტრშეტევა წამოიწყო, კარგად იმუშავა მიყოლამ, ოფლოუდებმა და სანდრო მამამთავრიშვილმა, მერაბ შარიქაძემ, დავით გიგაურმა, ნოდარ ჭეიშვილმა, თენგიზ პერანიძემ, შალვა მამუკაშვილმა და ბოლოს ისევ მამამთავრიშვილმა, ბურთი მეტოქის ლელომდე 20 წამში ჩაარბენინეს და ორი მიძალების შემდეგ ლუკა ივანიშვილმა ლელოც გაიტანა, მაგრამ მსაჯმა ვერ დააფიქსირა და ჯარიმის უპირატესობა დაგვიბრუნა. 5-მეტრიანი შერკინებიდან მეორე ჯერზე ცენტრისკენ წავიღეთ ბურთი, სისწრაფეში ბაბუნაშვილს გაატანა და მანაც, ბოჭვის მიუხედავად, ლელო გაიტანა, რასაც ზუსტი გარდასახვაც მიაყოლა – 22:6.

მეორე ტაიმში თამაშის დალაგება გაგვიჭირდა. შეცდომების გამო ლოკომოტივმა წნეხში მოგვაქცია და სინბინით შალვა მამუკაშვილი დავკარგეთ, 49-ე წუთზე კი მოლის შედეგად ლელო მივიღეთ. მანამდე იყო ეპიზოდი, როდესაც მასპინძლებმა ხაზზე გაშალეს ბურთი და ნიკა ცირეკიძეს მისი დამიწების საშუალება მირიან მოდებაძემ არ მისცა. ლოკომოტივს ჯარიმით ჩამორჩენის კიდევ უფრო შემცირების შანსი მიეცა, მაგრამ ლელოზე თამაში გადაწყვიტა და ვერ გათვალა.

დასკვნით 20 წუთში შავმა ლომმა ინიციატივა დაიბრუნა. მეტოქემ გარკვეული დროით შეძლო თავის დაცვა, მაგრამ 75-ე წუთზე მოლს გოგა ხუროშვილი რომ მოსწყდა, მისი შემჩერებელი აღარავინ იყო. ბოლო წუთზე ძალისმიერი ლელოს გატანა მამამთავრიშვილსაც შეეძლო, მაგრამ ბურთი ჩაუხურეს და საბოლოოდ შავმა ლომმა ლოკომოტივ-პენზა 27:11 დაამარცხა.

აღმოსავლეთ კონფერენციის მესამე ტურის მეორე მატჩში ისრაელის თელავივ ჰითმა მოსკოვში ენისეი 34:31 დაამარცხა. მასპინძლებმა 5 ლელო გაიტანეს, სტუმრებმა – 4, მაგრამ კარში უკეთ ურტყეს და ისტორიაში პირველი გამარჯვებაც მოიპოვეს. ენისეის რიგებში 51-ე წუთზე ლელო დავით მესხმა გაიტანა და იმ მომენტისთვის საკუთარი გუნდი 26:24 დააწინაურა.

ენისეის გაწითლებულ დროზე გატანილმა ლელომ ნუგეშის ქულა მოუპოვა და 3 თამაშიდან 11 ქულით სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე დარჩა. შავ ლომს 2 თამაშიდან ქულათა მაქსიმუმი (10) აქვს და 30 ოქტომბერს სოჭში ჩვენი დროით 13 საათზე სწორედ ენისეის ეთამაშება. ამავე დღეს ლოკომოტივ-პენზა თელავივ ჰითს მასპინძლობს.

## შედეგები

### 23 ოქტომბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჩელსი-ნორვიჩი 7:0
კრ.პალასი-ნიუკასლი 1:1
ლიდსი-ვულვზი 1:1
საუთჰემპტონი-ბარნლი 2:2
ევერტონი-უოტფორდი 2:5
ბრაიტონი-სიტი 1:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 9 | 7 | 1 | 1 | 23-3 | 22 |
| 2.სიტი | 9 | 6 | 2 | 1 | 20-4 | 20 |
| 3.ლივერპული | 8 | 5 | 3 | 0 | 22-6 | 18 |
| 4.ბრაიტონი | 9 | 4 | 3 | 2 | 9-9 | 15 |
| 5.ტოტენჰემი | 8 | 5 | 0 | 3 | 9-12 | 15 |
| 6.მანჩესტერი | 8 | 4 | 2 | 2 | 16-10 | 14 |
| 7.ვესტ ჰემი | 8 | 4 | 2 | 2 | 15-10 | 14 |
| 8.ევერტონი | 9 | 4 | 2 | 3 | 15-14 | 14 |
| 9.არსენალი | 9 | 4 | 2 | 3 | 10-13 | 14 |
| 10.ვულვზი | 9 | 4 | 1 | 4 | 9-9 | 13 |
| 11.ბრენტფორდი | 8 | 3 | 3 | 2 | 10-7 | 12 |
| 12.ლესტერი | 8 | 3 | 2 | 3 | 13-14 | 11 |
| 13.ასტონ ვილა | 9 | 3 | 1 | 5 | 13-15 | 10 |
| 14.უოტფორდი | 9 | 3 | 1 | 5 | 12-17 | 10 |
| 15.კრ.პალასი | 9 | 1 | 6 | 2 | 11-14 | 9 |
| 16.საუთჰემპტონი | 9 | 1 | 5 | 3 | 8-12 | 8 |
| 17.ლიდსი | 9 | 1 | 4 | 4 | 8-16 | 7 |
| 18.ბარნლი | 9 | 0 | 4 | 5 | 7-15 | 4 |
| 19.ნიუკასლი | 9 | 0 | 4 | 5 | 11-20 | 4 |
| 20.ნორვიჩი | 9 | 0 | 2 | 7 | 2-23 | 2 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

კარდიფი-მიდლსბრო 0:2
ბირმინგემი-სუონსი 2:1
ბლექბერნი-რედინგი 2:0
ბლექპული-პრესტონი 2:0
ბირმინგემი-ჰადერსფილდი 3:0
ვესტ ბრომვიჩი-ბრისტოლი 3:0
ქოვენთრი-დერბი 1:1
ლუთონი-ჰალი 1:0
მილუოლი-სტოკი 2:1
პიტერბრო-ქპრ 2:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

არმინია-დორტმუნდი 1:3
ბაიერნი-ჰოფენჰაიმი 4:0
ვოლფსბურგი-ფრაიბურგი 0:2
ლაიფციგი-ფიურტი 4:1
ჰერტა-გლადბახი 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 9 | 7 | 1 | 1 | 33-8 | 22 |
| 2.დორტმუნდი | 9 | 7 | 0 | 2 | 25-15 | 21 |
| 3.ფრაიბურგი | 9 | 5 | 4 | 0 | 14-6 | 19 |
| 4.ლევერკუზენი | 8 | 5 | 1 | 2 | 21-12 | 16 |
| 5.უნიონი | 8 | 4 | 3 | 1 | 12-9 | 15 |
| 6.ლაიფციგი | 9 | 4 | 2 | 3 | 20-9 | 14 |
| 7.მაინცი | 9 | 4 | 1 | 4 | 12-9 | 13 |
| 8.ვოლფსბურგი | 9 | 4 | 1 | 4 | 9-12 | 13 |
| 9.კიოლნი | 8 | 3 | 3 | 2 | 13-14 | 12 |
| 10.ჰერტა | 9 | 4 | 0 | 5 | 11-21 | 12 |
| 11.ჰაიდენჰაიმი | 9 | 3 | 2 | 4 | 17-15 | 11 |
| 12.გლადბახი | 9 | 3 | 2 | 4 | 10-12 | 11 |
| 13.შტუტგარტი | 8 | 2 | 3 | 3 | 13-14 | 9 |
| 14.აინტრახტი | 8 | 1 | 5 | 2 | 9-12 | 8 |
| 15.ბოხუმი | 8 | 2 | 1 | 5 | 5-16 | 7 |
| 16.აუგსბურგი | 9 | 1 | 3 | 5 | 5-18 | 6 |
| 17.არმინია | 9 | 0 | 5 | 4 | 5-14 | 5 |
| 18.ფიურტი | 9 | 0 | 1 | 8 | 6-24 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ნიურნბერგი-ჰაიდენჰაიმი 4:0
ფორტუნა-კარლსრუე 3:1
კილი-დარმშტადი 1:1
შალკე-დინამო 3:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალენსია-მალიორკა 2:2
კადისი-ალავესი 0:2
ელჩე-ესპანიოლი 2:2
ბილბაო-ვილიარეალი 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სოსიედადი | 9 | 6 | 2 | 1 | 12-7 | 20 |
| 2.ოსასუნა | 10 | 5 | 3 | 2 | 14-13 | 18 |
| 3.რეალი | 8 | 5 | 2 | 1 | 22-10 | 17 |
| 4.სევილია | 8 | 5 | 2 | 1 | 11-3 | 17 |
| 5.ატლეტიკო | 8 | 5 | 2 | 1 | 11-6 | 17 |
| 6.რაიო | 9 | 5 | 1 | 3 | 15-9 | 16 |
| 7.ბილბაო | 9 | 4 | 4 | 1 | 9-5 | 16 |
| 8.ბარსელონა | 8 | 4 | 3 | 1 | 14-8 | 15 |
| 9.ბეტისი | 9 | 4 | 3 | 2 | 12-9 | 15 |
| 10.ვალენსია | 10 | 3 | 4 | 3 | 15-13 | 13 |
| 11.ესპანიოლი | 10 | 3 | 4 | 3 | 10-10 | 13 |
| 12.მალიორკა | 10 | 3 | 3 | 4 | 9-15 | 12 |
| 13.ვილიარეალი | 9 | 2 | 5 | 2 | 10-7 | 11 |
| 14.ელჩე | 10 | 2 | 4 | 4 | 8-12 | 10 |
| 15.სელტა | 9 | 2 | 1 | 6 | 7-12 | 7 |
| 16.გრანადა | 9 | 1 | 4 | 4 | 7-13 | 7 |
| 17.კადისი | 10 | 1 | 4 | 5 | 7-15 | 7 |
| 18.ალავესი | 9 | 2 | 0 | 7 | 4-13 | 6 |
| 19.ლევანტე | 9 | 0 | 5 | 4 | 6-13 | 5 |
| 20.ხეტაფე | 9 | 0 | 2 | 7 | 3-13 | 2 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

იბიცა-ფუენლაბრადა 3:1
ხიხონი-ვალიადოლიდი 1:2
მალაგა-ლუგო 1:0
ლეგანესი-ტენერიფე 1:2

**იტალია. სერია ა**

სალერნიტანა-ემპოლი 2:4
სასუოლო-ვენეცია 3:1
ბოლონია-მილანი 2:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 9 | 8 | 1 | 0 | 22-9 | 25 |
| 2.ნაპოლი | 8 | 8 | 0 | 0 | 19-3 | 24 |
| 3.ინტერი | 8 | 5 | 2 | 1 | 23-11 | 17 |
| 4.რომა | 8 | 5 | 0 | 3 | 16-9 | 15 |
| 5.ატალანტა | 9 | 4 | 3 | 2 | 15-11 | 15 |
| 6.ლაციო | 8 | 4 | 2 | 2 | 18-13 | 14 |
| 7.იუვენტუსი | 8 | 4 | 2 | 2 | 12-10 | 14 |
| 8.ემპოლი | 9 | 4 | 0 | 5 | 14-18 | 12 |
| 9.ფიორენტინა | 8 | 4 | 0 | 4 | 10-12 | 12 |
| 10.ბოლონია | 9 | 3 | 3 | 3 | 15-19 | 12 |
| 11.ტორინო | 9 | 3 | 2 | 4 | 12-10 | 11 |
| 12.სასუოლო | 9 | 3 | 2 | 4 | 12-12 | 11 |
| 13.უდინეზე | 9 | 2 | 4 | 3 | 11-13 | 10 |
| 14.სამპდორია | 9 | 2 | 3 | 4 | 13-17 | 9 |
| 15.ვერონა | 8 | 2 | 2 | 4 | 17-17 | 8 |
| 16.ვენეცია | 9 | 2 | 2 | 5 | 7-15 | 8 |
| 17.სპეცია | 9 | 2 | 1 | 6 | 11-22 | 7 |
| 18.ჯენოა | 9 | 1 | 3 | 5 | 14-21 | 6 |
| 19.კალიარი | 8 | 1 | 3 | 4 | 11-17 | 6 |
| 20.სალერნიტანა | 9 | 1 | 1 | 7 | 8-21 | 4 |

**იტალია. სერია ბ**

ბენევენტო-კოზენცა 3:0
ლეჩე-პერუჯა 0:0
მონცა-ჩიტადელა 1:0
ტერნანა-ვიჩენცა 5:0
ფროზინონე-ასკოლი 2:1
ბრეშა-კრემონეზე 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნანტი-კლერმონი 2:1
ლილი-ბრესტი 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 10 | 9 | 0 | 1 | 24-10 | 27 |
| 2.ნიცა | 10 | 6 | 2 | 2 | 20-7 | 19 |
| 3.ლანსი | 10 | 5 | 3 | 2 | 16-11 | 18 |
| 4.მარსელი | 9 | 5 | 2 | 2 | 18-11 | 17 |
| 5.ანჟე | 11 | 4 | 5 | 2 | 17-13 | 17 |
| 6.ნანტი | 11 | 5 | 2 | 4 | 16-12 | 17 |
| 7.ლიონი | 11 | 4 | 4 | 3 | 18-16 | 16 |
| 8.რენი | 10 | 4 | 3 | 3 | 15-9 | 15 |
| 9.ლილი | 11 | 4 | 3 | 4 | 14-16 | 15 |
| 10.სტრასბური | 10 | 4 | 2 | 4 | 18-15 | 14 |
| 11.მონაკო | 10 | 4 | 2 | 4 | 14-13 | 14 |
| 12.ლორიანი | 10 | 3 | 5 | 2 | 11-13 | 14 |
| 13.მონპელიე | 10 | 3 | 4 | 3 | 17-16 | 13 |
| 14.კლერმონი | 11 | 3 | 4 | 4 | 14-22 | 13 |
| 15.რეიმსი | 10 | 2 | 5 | 3 | 11-12 | 11 |
| 16.ტრუა | 10 | 2 | 3 | 5 | 9-14 | 9 |
| 17.ბორდო | 10 | 1 | 5 | 4 | 12-21 | 8 |
| 18ბრესტი | 11 | 0 | 6 | 5 | 12-20 | 6 |
| 19.მეცი | 10 | 1 | 3 | 6 | 11-22 | 6 |
| 20.სტ.ეტიენი | 11 | 0 | 5 | 6 | 11-25 | 5 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

პარიზი-ტულუზა 2:2
ამიენი-ვალანსიენი 3:0
აიაჩო-ნანსი 2:0
ლე ავრი-პო 1:0
გენგამი-ნიმი 3:1
გრენობლი-დიჟონი 1:2
დიუნკერკი-კაენი 1:1
ნიორი-როდეზი 0:2
სოშო-კევიი 1:1

**ნიდერლანდები. ეჰედივიზიონი**

უტრეხტი-ჰერენვენი 2:1
ზვოლე-ერაკლესი 1:0
ვალვაიკი-სპარტა 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

სანტა კლარა-ფამილიაკუ 0:2
ტონდელა-პორტუ 1:3
სპორტინგი-მორეირენშე 1:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ნ.ნოვგოროდი-კრასნოდარი 1:4
როსტოვი-არსენალი 4:0
ცსკა-კრილია 3:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-ტიროლი 0:1
აუსტრია-რიდი 4:1
ვოლფსბერგერი-კლაგენფურტი 2:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-ჰიბერნიანი 1:0
დანდი-მოზერველი 2:1
როსი-ლივინგსტონი 2:3
სელტიკი-სტ.ჯონსონი 2:0
ჰართსი-დანდი 1:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

სერკლი-სტანდარდი 1:1
კორტრაიკი-ოსტენდე 1:0
მეხელენი-ვარეგემი 2:2
ეუპენი-სენ ჟილუა 2:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

რიზე-ქაშიმფაშა 2:1
გაზიანთები-გირესუნი 1:1
ქონია-ქაისერი 2:0
გიოზთეფე-ტრაბზონი 0:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ატრომიტოსი-იონიოკოსი 0:2
აპოლონი-იანინა 1:0
ასტერასი-პანათინაიკოსი 2:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

იანგ ბოიზი-ლოზანა 3:2
გრასჰოპერსი-ციურიხი 3:3

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

პარდუბიცე-ზლინი 0:0
ლიბერეცი-სიგმა 2:0
სლოვაცკო-ბოჰემიანსი 1905 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ჩენსტოხოვა-ნეცეჩა 3:2
ლეხია-გურნიკი 1:1
პოგონი-იაგელონია 4:1
ვისლა-სლასკი 0:5

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვერესი-მარიუპოლი 2:0
ვორსკლა-შახტარი 0:2
ჩერნომორეცი-ლვოვი 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

დიურგარდენი-კალმარი 3:2
ჰაკენი-ჰალმშტადი 2:3

**ნორვეგია. ელიტსერია**

ვიკინგი-ლილესტრიომი 5:1
სტაბეკი-მიოლდე 0:3

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*


**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი" ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ქილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**



**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**


## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მხატვრული ფილმის „მანდარინების" რეჟისორი; 2. ქალაქი ბელგიაში, სადაც განთავსებულია ნატოს შტაბ-ბინა; 3. ოსმალთა სახელწოდება ევროპაში; 4. შვეიცარიელი მხატვარი; 5. რაიმეს შემადგენელი ნაწილი; 10. რაიმე ნაკეთობის შემცირებული ნიმუში, მოდელი; 11. პოპულარული პარკი თბილისში; 12. დიპლომატიური წარმომადგენელი; 13. სამონასტრო კომპლექსი თბილისის მახლობლად; 16. ქართველი მხატვარი, გობელენისტი; 17. ფრანგი პოლიციელი; 19. ჟანგბადის ნაკლებობით გამოწვეული სულის ხუთვა; 21. ფაიფურის წარმოების ცენტრი საფრანგეთში; 23. კასპიის ზღვის აუზის მდინარე საქართველოში.

**თარაზულად:** 6. პირველობა მეცნიერულ აღმოჩენაში; 7. თეთრი მელას ძველი ქართული სახელწოდება; 8. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. პირველი ქართველი მეტალურგი ქალი; 14. სიმღერის შესრულების იტალიური მანერა; 15. ეკლესიის მნათეს ძველი სახელწოდება; 18. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 20. გადასახდელსახურავიანი ძველებური ეტლი; 22. პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება უმაღლეს სასწავლებელში; 24. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 25. შვეიცარიელი ჩოგბურთელი; 26. ცხენის მოსართავი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ვისი; 2. ახო; 3. მარასკინი; 4. ფლეში; 5. ზოსტერა; 8. შალე; 9. გიენოსი; 10. დემენცია; 12. ჯორჯია; 13. დვირი; 15. დაზგა.

**თარაზულად:** 1. ვაქცინა; 6. ვატერლოო; 7. შაშვი; 10. დიანა; 11. ალენი; 13. დანტე; 14. მედეა; 16. ჯანი; 17. ინვაზია; 18. როკაპი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ურთხელი; 2. ეპისტოლე; 3. აგრონომია; 4. ანანასი; 5. ბარმაქსიზმი; 10. პოპური; 11. მაჰარაჯა; 12. გეიმერი; 13. აზბესტი; 16. ხორნაბუჯი; 17. სუვენირი; 19. აფხაზეთი; 21. მეგრე; 23. თლაშო.

**თარაზულად:** 6. არქიპელაგი; 7. ანაკლია; 8. სენატი; 9. ანდამატი; 14. უზუნდარა; 15. სპილბერგი; 18. ჰიჯრა; 20. კურიერი; 22. თითბერი; 24. მელასა; 25. ლუციფერი; 26. ხაშური.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


25 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1400

ევრო — 3.6553

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3329

100 რუსული რუბლი — 4.4764

## ამინდის პროგნოზი 25 ოქტომბრისათვის




## ბრიტანელი შემთხვევით ჩაეწერა მარათონში და 42 კილომეტრი გაირბინა



ბრიტანელმა მეთ უილ-ჰაუსმა შემთხვევით გაირბინა მარათონი მას შემდეგ, რაც მასში მონაწილეობაზე შეცდომით ჩაეწერა.

38 წლის მამაკაცი მანჩესტერის ნახევარმარათონში ჩაეწერა. მას სურდა მონაწილეობა მიეღო საავადმყოფოსთვის თანხის შეგროვებაში თავისი გარდაცვლილი მამის ხსოვნის პატივსაცემად. „მოკლე გარბენი“ იმავე დღეს იქნა ორგანიზებული, როდესაც 42 კილომეტრსა და 195 მეტრის გარბენა იყო ორგანიზებული. შეჯიბრის დღეს უილჰაუსს დრო აერია და სულ სხვა გარბენის სტარტზე მივიდა. შეცდომას ის მაშინ მიხვდა, როდესაც ის სპორტსმენები ნახა, რომლებიც სტარტისთვის ემზადებოდნენ.

საბოლოოდ ბრიტანელს უფლება მისცეს, გარბენში მონაწილეობაზე ჩანაწერი სხვა ღონისძიებაზე გადაეტანა, რის შემდეგაც მას ორჯერ უფრო გრძელი დისტანციის დაძლევა მოუხდა. მამაკაცს ფინიშის ხაზამდე მისაღწევად ოთხი საათი და 47 წუთი დასჭირდა.

## ბუტერბროდის ჭამის სურვილმა ქალს ჯეკპოტი მოახსნევინა




ამერიკის მერილენდის შტატის აბინგტონის დასახლების მკვიდრმა ქალმა ლატარიაში ჯეკპოტი ბუტერბროდის ჭამის სურვილის წყალობით მოხსნა.

64 წლის ქალი მაღაზიაში ბუტერბროდის საყიდლად შევიდა. მან შეკვეთა მისცა და გადაწყვიტა, 20 დოლარის ლატარიის ბილეთები შეეძინა.

ერთ-ერთი ბილეთი ათი დოლარი ღირდა. სწორედ მან მოუტანა ქალს 103,4 ათასი დოლარის მოგება.

იღბლიანი ქალის თქმით, მან მანამდე არ იცოდა არაფერი მოგების შესახებ, სანამ იმავე დღეს არ შეამოწმა გათამაშების შედეგები საკუთარი მობილური ტელეფონის სპეციალურ დანართში. როდესაც გაიგო, რომ გათამაშების გამარჯვებული გახდა, ქმარს აცნობა და უთხრა: „ეს ნამდვილი სიგიჟეა. მგონი, მსხვილი თანხა მოვიგე“.

ქალის თქმით, მოგებული თანხა მას საჯარო სამსახურში 45-წლიანი მუშაობის შემდეგ პენსიაზე გასვლასა და ორი ავტომობილის კრედიტის დაფარვაში დაეხმარება.

## მეთევზეებმა რეკორდული წონის თევზი დაიჭირეს



ხმელთაშუა ზღვაში, ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროსთან, უზარმაზარი მთვარე თევზი დაიჭირეს.

თევზი თევზმჭერი გემის ბადეში გაება, რომელიც სკუმბრიის რეწვით იყო დაკავებული. მისმა სიგრძემ – 3,2 მეტრი, ხოლო სიგანემ 2,9 მეტრი შეადგინა. ეს რეკორდული ზომებია ამ რეგიონისთვისაც კი, სადაც მეთევზეები ხშირად ხვდებიან მსხვილ მთვარე თევზებს.

– ჩვენ მისი მოთავსება ერთ ტონაზე გათვლილ სასწორზე ვცადეთ, მაგრამ მეტისმეტად დიდი აღმოჩნდა და, შესაძლოა, სასწორი დაემტვრია, – განაცხადა ზღვის ბიოლოგმა ენრიკე ოსტალემ, რომელიც უჩვეულო ნადავლის სანახავად მიიწვიეს, – მისი მასისა და სხვა დაჭერილ თევზებთან შედარებით, ის დაახლოებით ორ ტონას უნდა იწონიდეს.

სპეციალისტის თქმით, მთვარე თევზი ნაპირამდე ცოცხალი მიიყვანეს და ამწეს დახმარებით წყლიდან რამდენიმე წუთით ამოიყვანეს, დათვალიერების, ფოტოსურათების გადაღებისა და დნმ-ის ნიმუშების აღების შემდეგ კი ისევ ზღვაში დააბრუნეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

•••

კაცს ცოლი მოუკვდა და ცოლისდა მოიყვანა ცოლად. ერთ-ერთი მეგობარი ეუბნება:

– ბიჭო, ცოლისდა რამ მოგაყვანინა ცოლად...

– ახლა კიდევ ახალ სიდედრთან შეგუება არ გინდოდა...

•••

შვილიშვილი ბებიას ეკითხება:

– ბებია, ბებია, გათხოვება გირჩევნია თუ ჩურჩხელა?

– სად მაქვს, შვილო, ჩურჩხელის კბილები!

•••

მიხოს მეზობელი ეკითხება:

– მიხო, ახლა ფული რომ გქონდეს, რას გააკეთებდი?

– ძმაკაცებთან ერთად დავლევდი, ღვინო, პური, ყველი.

– და უფრო მეტი ფული რომ გქონდეს?

– ძმაკაცებთან დავლევდი, ღვინო, ყველი, პური, ხაშლამა.

– და კიდევ უფრო მეტი ფული რომ გქონდეს?

– ღვინო, ხაშლამა, ხაშლამა, ხაშლამა...

•••

ორი თანასოფლელი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს მხიარული სახით ეუბნება:

– იმპოტენტი გავხდი.

– მერე, რატომ ხარ გახარებული?

– ძლივს ჩემს ჭკუაზე გავიარე...

•••

კაცმა სამშობიაროში ცოლი დააწვინა. ექიმი ეუბნება:

– სხვა გზა არ გვაქვს, გაუტკივარება უნდა გავუკეთოთ.

– ექიმო, ეგ გაუტკივარება ენაზეც რომ გაუკეთოთ, შეიძლება?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## „დუტას ზღაპრები“ ბრუნდება



მსახიობმა დუტა სხირტლაძემ გადაწყვიტა, „დუტას ზღაპრები“ დააბრუნოს.

დუტამ თავისი ზღაპრები ინტერნეტსივრცეში განათავსა და ყველა თაობის მაყურებელს სასიამოვნო დროში მოგზაურობის საშუალება მისცა. „დუტას ზღაპრები“ წლების წინ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში გადიოდა და მსახიობი მაყურებელს სხვადასხვა ცნობილ ზღაპარს უამბობდა.

დუტა სხირტლაძე:

– „დუტას ზღაპრები“ ბრუნდება! მეც ისევე მოუთმენლად ველოდი ამ დღეს, როგორც თქვენ! მერე რა, თუ ახლა ცოტა უფრო დიდები ხართ, ზღაპარი ხომ არასდროსაა ზედმეტი!

ესეც ჩემი ბუდრუგანა – ჩემი მეგობარი, მეგზური და თანამოაზრე. რა აღარ გადაგვხდენია ერთად და სად არ ვყოფილვართ! ყველა ისტორიას რუდუნებით ვინახავთ და ნელ-ნელა სათითაოდ გაგიზიარებთ.

## „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მეათე სეზონს იწყებს




25 ოქტომბრიდან „ცეკვავენ ვარსკვლავები“ რიგით მეათე, საიუბილეო სეზონს დაიწყებს.

ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში პროფესიონალ მოცეკვავეებთან ერთად იცეკვებენ მსახიობები, მოდელები, სპორტსმენები, ტიკტოკერები, დიზაინერები.

კონკურსანტებისთვის კოსტიუმებს დიზაინერი ლაშა ჯოხაძე შეკერავს, საკონკურსო ნომრებს კი უკრაინელი ქორეოგრაფები დადგამენ.

ამ ეტაპისთვის არ არის ცნობილი, ვინ იქნებიან ჟიურის წევრები და ვინ შეაფასებს მეათე სეზონის კონკურსანტებს.

## ნინო ხარატიშვილის რომანის საავტორო უფლება ამერიკულმა გამომცემლობამ შეიძინა



გერმანიაში მოღვაწე ქართველი მწერლის ნინო ხარატიშვილის რომან „შუქის ნაკლებობის“ საავტორო უფლება ამერიკულმა გამომცემლობამ შეიძინა.

ინფორმაცია საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა გვანცა ჯობავამ გაავრცელა:

– არ იკითხავთ, წიგნი რაზეა? ქეთო, ნენე, დინა და ინა – თბილისში, სოლოლაკის ერთ-ერთ იტალიურ ეზოში მცხოვრები ოთხი ქართველი გოგო, ქვეყანაში, რომელმაც სულ ახლახან მოიპოვა დამოუკიდებლობა, ქვეყანაში, სადაც ძალადობა და ქაოსი სუფევს, ქუჩის გარჩევები, სამოქალაქო დაპირისპირება, შიმშილი, სიცივე, მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩვენთვის ყველასთვის ნაცნობი 90-იანი წლები და მისი მთელი ტრაგედია.

ახალი რომანის საავტორო უფლება, აშშ-ის გარდა, ჯამში, უკვე ცხრა ქვეყანამ შეიძინა. მათ შორისაა, ცხადია, საქართველოც და გამომცემლობა „ინტელექტი“! წიგნის გამოცემამდე ვიწყებთ თარგმანზე მუშაობას. წიგნის მთარგმნელი მაია ფანჯიკიძე იქნება! მოემზადეთ ნინოსთან ერთად ახალი საოცარი თავგადასავლისთვის!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## მამაკაცმა პოლიციის მანქანის გატაცება სახლში მისვლის სურვილით ახსნა




იაპონიის ფუკუოკას პრეფექტურის ქალაქ მიამას მკვიდრმა მამაკაცმა პოლიციის მანქანა მოიპარა და ეს საქციელი სახლში მისვლის სურვილით ახსნა.

დაახლოებით დილის ოთხ საათზე 51 წლის უმუშევარი, სახელად კაძუნარი ამიმოტო, ქალაქ იამაგუტიდან სატვირთო მანქანით ჩქაროსნულ გზატკეცილზე მშობლიურ ქალაქში ბრუნდებოდა. მანქანას საწვავი გაუთავდა. ამიმოტო მანქანიდან გადმოვიდა და გზა ფეხით გააგრძელა, ერთ-ერთმა მძღოლმა კი პოლიციას დაურეკა და აცნობა, რომ ავტობანზე ადამიანი ქვეითად გადაადგილდებოდა.

ორმა პოლიციელმა გზაზე მიმავალი მამაკაცი გააჩერა და მათი მანქანის უკანა სავარძელზე დაჯდომა შესთავაზა. ამის შემდეგ პოლიციელებმა მას სთხოვეს, დალოდებოდა და თავად მანქანების მოძრაობის მოწესრიგება დაიწყეს. ამიმოტომ შემთხვევით ისარგებლა, მძღოლის ადგილზე გადაჯდა და მანქანიანად მიიმალა. მან 20 კილომეტრის გავლა მოასწრო, სანამ პოლიციის სხვა მანქანა გააჩერებდა. ამიმოტომ მათ განუცხადა, რომ მანქანა იმიტომ გაიტაცა, რომ სახლში მისვლა ეჩქარებოდა.

## მყვინთავმა ზღვის ფსკერზე ჯვაროსნული ლაშქრობების დროინდელი ხმალი იპოვა



ისრაელში მამაკაცმა გადაწყვიტა, ზღვის სიღრმეში ჩაეყვინთა და იქ ჯვაროსნული ლაშქრობების დროინდელი 900 წლის ხმალი იპოვა.

შლომი კაცინი შაბათ დილით ქალაქ ხაიფას მახლობლად ზღვის სიღრმეში ყვინთვით იყო დაკავებული. ამ დროს მან ფსკერზე რამდენიმე არტეფაქტი შენიშნა. მყვინთავმა ქვის ღუზა და კერამიკა იპოვა, თუმცა ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა 130 სანტიმეტრი სიგრძის ხმალი.

მიუხედავად იმისა, რომ ხმალი მთლიანად ნიჟარებითა და ზღვის სხვა არსებების საბუდარებითაა დაფარული, ისრაელის სიძველეთა სამმართველოში განაცხადეს, რომ ის იდეალურადაა შემონახული და შესანიშნავ და მეტად უიშვიათეს ნივთს წარმოადგენს. სამმართველოში ასევე განაცხადეს, რომ ნაპოვნი იარაღი დაახლოებით 900 წლისაა და, დიდი ალბათობით, ჯვაროსანს ეკუთვნოდა, რომელიც ერთ-ერთ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობდა.

ექსპერტების თქმით, ხმლის აღმოჩენა მოხერხდა ქარიშხლის წყალობით, რომელმაც ზღვის ფსკერზე ქვიშა მიმოფანტა. ასევე ცნობილია, რომ სანაპირო, რომლის მახლობლად იქნა ნაპოვნი ხმალი, ქარიშხლის დროს გემების თავშესაფარს წარმოადგენდა და, აქედან გამომდინარე, შესაძლოა, კიდევ მრავალი მსგავსი აღმოჩენის მოწმენი გავხდეთ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 25 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – განიწმინდეთ სულიერად, ეცადეთ, კეთილი საქმეები აკეთოთ. გარშემომყოფებს საშუალება მიეცით, თავიანთი საუკეთესო თვისებები გამოავლინონ. **კურო** – დღე წინასწარ დაგეგმეთ. ყოველგვარი აგრესია გამორიცხეთ. სულიერი წონასწორობა შეინარჩუნეთ. **ტყუპები** – საქმეში არასტანდარტული მეთოდები გამოიყენეთ. შემთხვევით ნაცნობობას თავი აარიდეთ. **კირჩხიბი** – ფინანსური მდგომარეობა რამდენადმე უარესდება. ნებისმიერი საბანკო ოპერაციისაგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – ახალგაცნობილ ადამიანთან კონტაქტი იღბლიანი იქნება. მთელი ყურადღება საქმეს დაუთმეთ. **ქალწული** – მაცდურ შემოთავაზებას დაუფიქრებლად ნუ დათანხმდებით. გარისკვა რეკომენდებული არ არის. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა მოგზაურობისათვის, ქალაქგარეთ გასასვლელად. ახალი შთაბეჭდილებები თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე დადებითად იმოქმედებს. **ღრიანკალი** – დღის პირველ ნახევარში წვრილმანი საქმეების მოგვარება მოგიწევთ. საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კონფლიქტს გარშემომყოფებთან. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **თხის რქა** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. თავი შეიკავეთ ინიციატივის გამოვლენისაგან. **მერწყული** – ნებისმიერი წამოწყება გაამართლებს. შემოსავალი გეზრდებათ. **თევზები** – ზომიერება დაიცავით. სასურველსა და რეალობას შორის ზღვარი გაავლეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. უბანი თბილისში; 2. მოწითალო ყვითელი ფერის თმის საღებავი; 3. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის დარგი; 4. ფულის ერთეული ვიეტნამში; 5. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 8. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. გერმანელი კომპოზიტორი, ოპერა „ვალკირიას“ მუსიკის ავტორი; 10. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზესტაფონის რაიონში; 12. დაბალი ხარისხის შაქარი; 13. ხელოვნური გამოქვაბული პარკებში; 15. ყვითელი, წვნიანი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.

**თარაზულად:** 1. მრავალმხრივი ცოდნის, ღრმად განსწავლული ადამიანი; 6. იუმორისტული საგაზეთო პუბლიკაცია; 7. სამხედრო გადატრიალების მომწყობ შეთქმულთა ჯგუფი; 10. წყნარი, უქარო ამინდი ზღვაზე; 11. კურორტი იორდანიაში, წითელი ზღვის პირას; 13. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 14. ხორბლის ქართული ჯიში; 16. ყველაზე დიდი მდინარე პირინეის ნახევარკუნძულზე; 17. ბუნებრივი განიავება, ვენტილაცია; 18. ესტონეთის დედაქალაქი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

